ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 მარტი, 2023 №45 (9081) ფასი: 80 თეთრი

მლვდლის დაჭრაში ბრალდებული დააკავეს

გვ.5

„აგენტების კანონი“ არის კონსტიტუციური გადატრიალება! ამ კანონით „ოცნება“ დასავლეთს ებრძვის!“

გვ.2



თეონა აქუბარდია: „ჩვენი ალტერნატივა ეხება იმას, რომ გამოცხადდეს უცხო ქვეყნის გავლენის აგენტად ოკუპანტი ძალა. ანუ ოკუპანტი ძალის გავლენის აგენტების წინააღმდეგ იბრძოლოს ხელისუფლებამ.“

შოთა მალაშხია: „კობახიძე ლაპარაკობს ზუსტად ისე, როგორც უნდა ილაპარაკოს ამ მენტალიტეტის ხალხმა“

გვ.4

„ყველამ უნდა დაარქვას ამ ხელისუფლებას თავისი ნამდვილი სახელი და მაშინ გვეშველება“

გვ.3

„ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს... „ოცნება“ წელში უნდა გადატყდეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „რუსთაველზე უნდა გაიშალოს კარვები და პროტესტი გაგრძელდეს იქამდე, სანამ არ დაინიშნება რიგგარეშე ვადამდელი არჩევნები“

გვ.3

გურამ ვახტანგაშვილი: „ჩვენ ომს ჩვენს ტერიტორიაზე ვერ დავიწყებდით“

მაშველი ძაღლი „ტინტო“ სამსახურებრივი ქეტონით დაჯილდოვდა

გვ.4



5 ვაკის პარკის ტრაგედიის ახალი დეტალები

2 „ყოველმხრივ საზიანოა ჩვენი ქვეყნისათვის“ — მზექალა შანიძე რუსულ კანონზე

5 ქართველი, რომელსაც საბერძნეთის პოლიცია 10 წელი ეძებდა, იტალიაში დააკავეს

6 ბახმუტში უკრაინული სპეცნაზი შევიდა

1993230720223

„აგენტების კანონი“ არის კონსტიტუციური გადატრიალება! ამ კანონით „ოცნება“ დასავლეთს ებრძვის!“

თეონა აქუბარდია: „ჩვენი ალტერნატივა ეხება იმას, რომ გამოცხადდეს უცხო ქვეყნის გავლენის აგენტად ოკუპანტი ძალა. ანუ ოკუპანტი ძალის გავლენის აგენტების წინააღმდეგ იბრძოლოს ხელისუფლებამ.“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი თეონა აქუბარდია პასუხობს.

– ქალბატონო თეონა, დიდი ხმაური და აჟიოტაჟი გამოიწვია კანონპროექტმა ე. წ. „უცხო ქვეყნის გავლენის აგენტის“ შესახებ. კვირის ბოლოს დიდი ხმაური მოჰყვა კომიტეტებში მის განხილვას. რამდენად სახიფათო კანონპროექტია. რას იტყვით თქვენ, რა ჩაიფიქრა „ქართულმა ოცნებამ“?

– დავიწყოთ იმით, რომ ძალიან საშიშ ფაზაში შეიყვანა „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ევროპული კურსი. იმ კანონებით, რომელიც მან დაარეგისტრირა და „ხალხის ძალა“ ჩვეულებრივი მითია და ვხედავთ, ირაკლი კობახიძე როგორი გამალებით იცავს ამ კანონს. როდესაც საქართველო ელის კანდიდატის სტატუსის მიღებას, დიდი საფრთხის შემცველია ეს ყველაფერი. პირველი, დავიწყოთ იმით, რომ თვითონ კანონის მოტივი, ამ შემთხვევაში რომელიც პროექტში წერია, არანაირ გამჭვირვალობას არ უკავშირდება.

– რას უკავშირდება? რა არის მოტივი?

– უკავშირდება ძალაუფლების შენარჩუნებას. 2024 წლის არჩევნებისთვის კრიტიკული აზრის გაჩუმებას. თუ ჩვენ პარალელს გავავლებთ სხვა ქვეყნის კანონებთან, იგივე შეერთებული შტატების კანონთან, იქ კანონის მიღება უკავშირდებოდა ეროვნულ უსაფრთხოებას და მტრულად განწყობილ ქვეყნებს ეხებოდა, იქნება ეს ფაშისტური გერმანია 1938 წელში, რისთვისაც საერთოდ მიიღო შეერთებულმა შტატებმა ეს კანონი. შემდეგ დამატებული იყო ლობიზმი, რომელიც საქართველოს ისედაც აქვს და 2016 წელს, როდესაც რუსეთი იქნა აღიარებული საფრთხის შემცველ, მტრულად განწყობილ ქვეყნად, შეერთებულ შტატებში დამატებული იქნა რუსეთის პროპაგანდისტული არხები, ამ შემთხვევაში უცხო ქვეყნის აგენტის სტატუსის მიმღებად. რადგან ეს პირდაპირ რუსეთის პოლიტიკის განმახორციელებელია, მათ შორის, შეერთებული შტატების ინტერესების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მოტივი არის ძალიან წამყვანი და მნიშვნელოვანი.

– უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვისგან ფინანსდება ესა თუ ის ორგანიზაციაო, აცხადებს „ოცნება“ და ყველას ამუნათებენ, ვინც იტყვის, რომ ეს არის რუსული და არა ამერიკული.

– სწორედ ამიტომ ვხსნი ამ ყველაფერს, რომ თუ შეერთებულ შტატებში, რომელზეც გვეუბნებიან, რომ პირდაპირ გადმოიღეს ეს კანონი, იქ იყო ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე კანონი მიღებული, ჩვენ „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ გამჭვირვალობისთვის აკეთებს ამას და იმავდროულად აგენტის იარლიყს აკრავს სრულიად სამოქალაქო სექტორს და კრიტიკულ მედიას. იმ კრიტიკულ მედიას, რომელიც რეგიონებში არის უმნიშვნელოვანესი საქმის გამკეთებელი და ერთი, მარტო მთაში დარჩენილი კაცის ხმა რომ ჩამოაქვს, საზოგადოებამდე რომ მოაქვს ეს პრობლემები, ამ ხმის ეშინია ხელისუფლებას და ამ კანონით აგენტად რაცხავს მას.

– გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაფინანსებაო.

– გამჭვირვალობის მიღწევა შესაძლებელია სხვა ფორმითაც. რეალურად ჩვენ გამჭვირვალობა გვაქვს. ლობიზმის შესახებაც გვაქვს კანონი და მუშაობს ეს პარლამენტში. როგორც საგადასახადო სამსახურში ნებისმიერი გადარიცხვის შესახებ, გრანტების განმკარგავი პირებისგან მიდის ინფორმაცია. საგადასახადოს ძალიან მარტივად შეეძლო, რომ შეექმნა რეესტრი ამ გრანტების შესახებ და ყოფილიყო ამ საგადასახადო სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებული სია, ვინ არიან ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს, რა პროექტებზეა საუბარი და რა გრანტებია. ეს ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ისედაც აქვს. თუ საუბარია ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ისე, როგორც საგადასახადო სამსახურში, ნებისმიერი გადარიცხვა, ნებისმიერი ხელფასი იქნება ეს თუ მომსახურება, ყველანაირი ინფორმაცია მიდის.

– და რა არის მიზანი?

– შესაბამისად, ყალბია ის განცხადება, რომ ეს ყველაფერი კეთდება გამჭვირვალობისთვის. ეს კეთდება უსაფრთხოებისთვისო და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის კი არა, არამედ რეჟიმის, ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნებისთვის“! ამოცანაა, რომ 2024-ში გააჩუმონ ყველა ადამიანი, რომელიც კითხვას სვამს კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით. მაგალითად, კითხვას სვამს, მილიონობით თანხა, რომელიც დაიხარჯა წყლის შეკეთებაზე და როდესაც ეს წყალი სოფელს მაინც არ აქვს. კითხვას სვამს უამრავ საკითხზე, ისევე, როგორც იცავს უამრავი ადამიანის უფლებებს.

უამრავ ადამიანს აქვს მიღებული დახმარება ამ გრანტების მეშვეობით. იქნება ეს ქალთა უფლებების ჭრილში, ოჯახური ძალადობისას მსხვერპლის დასახმარებლად. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. დღეს თუ რამე კეთდება, მათ შორის ნდობის აღდგენის მიზნით ოკუპირებულ რეგიონებთან, ამას ახორციელებენ თბილისში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ დასავლურ გრანტებს და რომლითაც ხდება იმ ძაფების გაბმა, რომელსაც რუსეთი ჩეხავს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან. მათ თუ აგენტის იარლიყი ექნებათ, როგორ წარმოგიდგენიათ ამ ორგანიზაციების მუშაობა ოკუპირებულ აფხაზეთთან ან ოკუპირებულ ცხინვალში მცხოვრებ ადამიანებთან?! აფხაზეთში ეწინააღმდეგებიან ამ კანონის მიღებას და რა პასუხი უნდა ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“, რომელიც თითქოს დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი, თავისი პარლამენტით, აკეთებს იმას, რაც რუსეთს სურს, რომ მიაღწიოს ოკუპირებულ აფხაზეთში!

– ანუ ღიად განაცხადა თავის კურსი „ქართულმა ოცნებამ“?

– კი, ასეა და დავამატებ კიდევ, რა არის აქ მთავარი და მნიშვნელოვანი, შერჩეული დრო! დრო, როდესაც ჩვენ 12 რეკომენდაციის შესრულება გვაქვს დავალებული. 12 რეკომენდაციიდან გვეუბნება დასავლეთი და ევროკავშირი, რომ ორს პირდაპირ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონი. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ისევე, როგორც მედიის დამოუკიდებლობა, აუცილებელი წინაპირობაა. ხოლო მესამეს მე გეტყვით, ეს არის პოლარიზაციის გაღრმავება. თქვენ ნახეთ, როგორი დაპირისპირება იყო პარლამენტში ამ კანონთან დაკავშირებით. არა მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს შორის, არამედ სამოქალაქო სექტორსა და კანონის ავტორებსა და მხარდამჭერებს შორის.

– ამხელა წინააღმდეგობის მიუხედავად, ორ კომიტეტში მაინც განიხილეს.

– დიახ, მაინც გაიტანეს და განიხილეს. შეერთებული შტატები, სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ღიად უთვლის „ქართულ ოცნებას“, უკვე მესამედ, რომ ეს კანონი არ არის ამერიკული და ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების და დემოკრატიის პრინციპს. როცა „ქართული ოცნება“ ამას ხელის გადაგრეხვის მეთოდით აკეთებს, რასთან გვაქვს საქმე, თუ არა კონსტიტუციით გარანტირებულ 78-ე მუხლის საწინააღმდეგო სვლასთან, რომელიც ავალებს ყველა სახელისუფლებო ორგანოს, ყველაფერი გააკეთონ ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. შესაბამისად, ეს არის კონსტიტუციური გადატრიალება. დეზინფორმაციით და პროპაგანდით ცდილობენ ქვეყნის საგარეო ვექტორის შეცვლას. ისევე, როგორც საშინაოსი.

– ცხადია, „ოცნება“ ყველა გზით შეეცდება გაიტანოს კანონი. რა შეიძლება რომ დაუპირისპიროს საზოგადოებამ? პროტესტი გაჭრის ამ შემთხვევაში?

– მე მჯერა, რომ პროტესტი გაჭრის. იმიტომ, რომ ერთადერთი, რისიც ეშინია „ქართულ ოცნებას“ და მის არაფორმალურ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, ეს არის რაოდენობა ხალხის. თქვენ გახსოვთ, ამ ათწლიანი „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, რამდენი უკან დახევა ჰქონია „ქართულ ოცნებას“ პროტესტის რაოდენობიდან გამომდინარე. არა მხოლოდ პროტესტის მასშტაბიდან გამომდინარე, ხალხის თავებს ითვლიან ისინი, პირდაპირი მნიშვნელობით მომიტინგეების თავებს. თუ არ იქნება ხალხის დიდი რაოდენობა, ამ შემთხვევაში, ოპოზიცია იქნება თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, ვერ გაუწევს წინააღმდეგობას, რომ ეს კანონპროექტი არ იქცეს კანონად. ამ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია 80% მოქალაქეებზე, რომელიც მხარს უჭერენ ევროკავშირში გაწევრიანებას და წმინდა რუსული მანიპულაციებით, „ქართული ოცნება“ ახერხებს“ მათ დარწმუნებას, რომ საფრთხე არ ექმნება ქვეყნის ევროპულ მომავალს, ამ ჭრილშია მნიშვნელოვანი სამუშაო. პოლიტიკოსებს, მედიას, არასამთავრობოებს გვაქვს იმის ტვირთი, რომ ავუხსნათ თითოეულ ადამიანს, რომლისთვისაც ძვირფასია ქვეყნის ევროპული მომავალი, რომ მოხდეს მობილიზება ხალხის და ხალხმა გააპროტესტოს.

შარშანდელი 3 მარტი, როდესაც ხალხის რაოდენობიდან გამომდინარე გახდა იძულებული პრემიერ-მინისტრი, შეეტანა განაცხადი კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ბრძოლის. ახლა, კიდევ უფრო საჭიროა ეს ბრძოლა. მათ შორის ხალხის რაოდენობასაც ვგულისხმობ, არა მხოლოდ პროტესტს. იმისთვის, რომ დავანახოთ „ქართულ ოცნებას“, არ მივცემთ შესაძლებლობას, რომ გადაუხვიოს კონსტიტუციით გარანტირებული დეკლარირებული საგარეო ვექტორიდან!

– ქალბატონო თეონა, რას იტყვით ალტერნატიულ კანონპროექტზე, რომელიც პარტია „საქართველოსთვის“ ერთად წარადგინეთ. თქვენ დამოუკიდებელი დეპუტატი ბრძანდებით და რატომ გახარიას გუნდთან ერთად? რაში დაემთხვა პოზიციები?

– რაც შეეხება ჩვენს ალტერნატიულ კანონპროექტს, ამ შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი გზა, დავპირისპირებოდით ქვეყნის კურსის ცვლილებას, იყო, დაგვეპირისპირებინა ალტერნატიული კანონპროექტი იმ ორ რუსულ პროექტთან, რომელსაც „ქართული ოცნება“ უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, ამ კანონის პროექტის არსი იყო, რომ თუ ვინმეს გავლენის აგენტი უნდა ეძებოს სახელმწიფომ, ეს არის ოკუპანტი ძალა. ჩვენ გვაქვს საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი, რითაც რუსეთი გამოცხადებულია ოკუპანტად. რუსეთის სტრატეგიული მიზნები საქართველოს წინააღმდეგ რომ გავლენებს აძლიერებს საქართველოზე, ეს აღიარებული აქვს საქართველოს მთავრობას ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტებით. შესაბამისად, ჩვენი ალტერნატივა ეხება იმას, რომ გამოცხადდეს უცხო ქვეყნის გავლენის აგენტად ოკუპანტი ძალა. ანუ ოკუპანტი ძალის გავლენის აგენტების წინააღმდეგ იბრძოლოს ხელისუფლებამ.

– როგორ მიიღო ეს კანონპროექტი უმრავლესობამ?

– იმდენად მიუღებელი იყო ეს მორალურად „ქართული ოცნებისთვის“, რომ მათ დაარღვიეს კონსტიტუციით გარანტირებული დეპუტატის უფლება, დაინიციროს კანონი. ორი გზით ხდება კანონის დაინიცირება, ერთი არის ჩვეულებრივ კანონის დარეგისტრირება და მეორე, ბიუროზე ამ ინიციატივის წარდგენა.

ხუთშაბათს, როდესაც ბიუროზე პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა, ბექა ლილუაშვილმა, ეს საკითხი გაიტანა, შალვა პაპუაშვილმა უბრალოდ არ დაარეგისტრირა ჩვენი კანონი, რომ იურიდიულ კომიტეტზე, რომელიც არის წამყვანი კომიტეტი, მოხვედრილიყო ჩვენი ალტერნატივაც. ეს ერთადერთი მიზნით გააკეთეს, რომ არ დამდგარიყვნენ იმ ალტერნატივას შორის, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთი არის ოკუპანტი ძალა და მისი გავლენის აგენტების წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს სახელმწიფო, რაც ობიექტური მოცემულობაა და მეორე მხრივ, რეალურად დასავლეთი, რომელსაც ებრძვის „ქართული ოცნება“, ამ კანონის მიღებით. ჩვენ ვაპირებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დღეს იურიდიული კომიტეტი არ გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, რომ დღის წესრიგში ჩვენი კანონპროექტი ჩასვას, ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად ვაპირებთ სამართლებრივ ჭრილში ბრძოლას და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ამ საკითხზე მიმართვას.

გვაქვს მოცემულობა, როდესაც „ქართული ოცნება“ მიდის კონსტიტუციის წინააღმდეგ, ისინი მზად არიან, რომ ხელის გადაგრეხვის და კონსტიტუციის დარღვევის გზით იარონ, იმისთვის, რომ 2024-შიც შეინარჩუნონ ძალაუფლება.

– დღეს იურიდიული კომიტეტი განიხილავს ხელისუფლების კანონპროექტს. რამდენად ელოდებით ხმაურს და სერიოზულ პროტესტს?

– რა თქმა უნდა, პროტესტი იქნება. აუცილებელია პროტესტის გამოხატვა, როდესაც ქვეყნის სუვერენულ საგარეო ვექტორს გვართმევს „ქართული ოცნება“. ამას აკეთებს რუსეთი „ქართული ოცნების“ ხელით. მაქვს ინფორმაცია, რომ იქნება ბევრი აქტივობა. სამოქალაქო სექტორიც აპირებს მოსვლას კომიტეტზე. დეტალები გამოჩნდება. აუცილებელია მზადება დიდი აქციისთვის, როდესაც სესიაზე გაიტანენ ამ ყველაფერს. ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ღიად გვითხრეს, რომ ამ კანონპროექტის არათუ დამტკიცება, განხილვაც კი დააზიანებდა ჩვენს ნატოსა და ევროკავშირში დეკლარირებულ კურსს. „ოცნება“ კი განხილვის პროცესს ჯიუტად მისდევს. ეს არის დაუშვებელი და აუცილებლად გავაგრძელებთ ბრძოლას ყველა შესაძლო გზით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლოს ქვეყნის დეკლარირებული გზის შეცვლა აი ამ მეთოდით.

„ყოველმხრივ საზიანოა ჩვენი ქვეყნისათვის“ — მზექალა შანიძე რუსულ კანონზე

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტი უცხოური გავლენის აგენტების შესახებ ყოველმხრივ საზიანოა ჩვენი ქვეყნისათვის. ამ დღეებში ბევრი გამოვიდა, ვინც სერიოზულად ფიქრობს საქართველოს წინსვლასა და კეთილდღეობაზე, და ღიად გამოთქვა თავისი უარყოფითი აზრი ამ კანონპროექტზე. მეც მიმაჩნია, რომ ეს ანტისაზოგადოებრივი კანონპროექტი, თუ ის კანონად იქცევა, დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს. ამგვარი კანონები ავტორიტარული რეჟიმებისათვის არის დამახასიათებელი, რასაც რუსეთის მაგალითზე ვხედავთ.

ისეთი დიდი პროექტები, როგორიცაა: ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა და კავკასიური ენებისა და კულტურების ელექტრონული დოკუმენტაციის დაწყება, ვერ განხორციელდებოდა უცხოური ფონდების დაფინანსების გარეშე. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებისათვის ქართული ანბანის პირველი შრიფტის დამზადება და პირველი ქართული ვებგვერდების შექმნაც უცხოურ ორგანიზაციას უკავშირდება – ჯორჯ სოროსის ფონდს, რომლის შევიწროებასა და სახელის გატეხას წარსულშიც ცდილობდნენ და დღესაც იმავეს სჩადიან, – ამბობს ენათმეცნიერი მზექალა შანიძე გამოცემა „ნეტგაზეთთან“ ინტერვიუში.

სისხლიანი გარჩევა და ბიზნესის „რეკეტი“ გორში

სისხლიანი გარჩევა გორში – გორის სასამართლომ რატი მამედოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება დავით მაკარაძემ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა.

გამოძიების ინფორმაციით, ბიზნესის რეკეტის საქმეში სწორედ მამედოვი იყო ჩართული, რომელიც საბოლოოდ, სისხლიანი ანგარიშსწორებით დასრულდა. მათი ინფორმაციით, მამედოვი საბაშვილების ოჯახს, რომელიც სადგურის დასახლებაში ავტომობილების შემკეთებელ ობიექტს ფლობდა, ყოველთვიურად ფულს სძალავდა და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

სისხლიანი ანგარიშსწორება გორში 5 დღის წინ მოხდა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით 34 წლის ბიზნესმენი ნიკა საბაშვილია დაკავებული. გამოძიების ინფორმაციით, საბაშვილმა 31 წლის ირაკლი კობერიძე ავტომობილში 20 ტყვიით ჩაცხრილა.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მამედოვს 5-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს... „ოცნება“ წელში უნდა გადატყდეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „რუსთაველზე უნდა გაიშალოს კარვები და პროტესტი გაგრძელდეს იქამდე, სანამ არ დაინიშნება რიგგარეშე ვადამდელი არჩევნები“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, როგორც ჩანს, „ხალხის ძალის“ კანონპროექტს შეიძლება დიდი ვნებათაღელვა მოყვეს. საპარლამენტო ოპოზიცია ამბობს, რომ არ გაატანინებენ, მზად არიან მასობრივი გამოსვლებისთვის. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– რა თქმა უნდა, რუსული კანონის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ბრძოლა აქამდეც უნდა დაწყებულიყო, რადგან ივანიშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანა რუსული გავლენების ქვეშ მოქცეულიყო.

უკრაინის ომის შემდეგ უფრო და უფრო ღია და აშკარა გახდა „ქართული ოცნების“ პრორუსული პოლიტიკა. ახლა იქამდე მივიდა საქმე, რომ პირდაპირ რუსულ კანონს გვიკანონებს ქართველი ხალხის სახელით მოქმედი პარლამენტი. უკვე საქმე „აგენტებამდეც“ მივიდა. ყველა, ვინც ბიძინა ივანიშვილთან არ არის და მას აკრიტიკებს, არის „აგენტი“. ამას გვეუბნებიან უკვე კანონის ძალით. კიდევ უფრო მეტს გაგვიბედავენ.

სახელმწიფოს გადასარჩენად ძალისხმევაა საჭირო. საზოგადოების ძალისხმევა, მხოლოდ ოპოზიცია ვერაფერს გახდება, მაგრამ ხალხმა ამ ოპოზიციის რომ ირწმუნოს, ოპოზიციას მოუწევს არჩევანის გაკეთება. ან უნდა დარჩეს პარლამენტში, ან უნდა დატოვოს პარლამენტი და გადაბარგდეს ხალხთან ერთად ქუჩაში. ორ სკამზე ჯდომა არ გამოვა. შეუძლებელია ერთდროულად ივანიშვილს ზურგს უმაგრებდე და თან ებრძოდე. ეს შეუთავსებელია.

– თქვენი აზრით, როგორი პროტესტი შეიძლება იყოს შედეგის მომტანი, რომ კანონპროექტის მიღება გადაიფიქრონ?

– მასობრივი, პერმანენტული პროტესტი რუსთაველის გადაკეტვით. რუსთაველზე უნდა გაიშალოს კარვები და პროტესტი უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ არ დაინიშნება რიგგარეშე ვადამდელი არჩევნები. რადგან ამ კანონის მიღება ემსახურება ძალაუფლების უვადოდ, განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნებას.

– როგორ ფიქრობთ, მიზანი რა არის?

– საზოგადოების სრული დამორჩილება. არასამთავრობო სექტორისთვის იარლიყის მიწებება, რომ

ისინი აგენტები არიან და მათი ნათქვამი, მათი საქმე მავნებლობაა ამ ქვეყნისთვის. პირველ ეტაპზე ეს. მერე უკვე იქნება მეორე ეტაპი. მედიის დახურვა, არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა, როგორც ეს რუსეთში მოხდა. ძალიან მარტივად არის გამოსაცნობი. ამერიკა გეუბნება, არავითარი საერთო ამ კანონს ჩვენს კანონთან არა აქვს, მაგრამ ესენი გვიმტკიცებენ, არა, გინდა თუ არა, ამერიკულიაო.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ევროკავშირი გვეუბნება, თუ ამ კანონს მიიღებთ, სტატუსს ვერ მიიღებთო. თუ სტატუსი არის მიზანი, შეიძლებოდა საერთოდ ამ კანონზე ფიქრიც კი ახლა?! რასაკვირველია, ევროკავშირი და სტატუსი საერთოდ არ ადარდებთ. ეს ხომ მათივე ნაბიჯით დადასტურდა.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, ამ 30 წლის მანძილზე, სამივე ხელისუფლებას ერთად აღებულს, ამ ქვეყნისთვის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც არასამთავრობო სექტორმა გააკეთა. რომ არა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, ის დემოკრატიაც აღარ გვექნებოდა, რაც დღეს გვაქვს. ჩემს პირად მაგალითზე რომ გითხრათ, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ორი საქმე, რომელიც უკანონო დაკავებებს ეხებოდა და რომელიც მაშინდელ ხელისუფლებას სტრასბურში მოვუგე, სწორედ არასამთავრობოების, დონორი ორგანიზაციების დახმარებით იყო.

ან რად ღირს მხოლოდ გელათის მაგალითი: საერთაშორისო ორგანიზაციამ 700 ათასი დოლარით დააფინანსა ჩვენი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა, მაგრამ ამის დანახვა არ უნდათ. ასეთი საქმეებისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის არის დონორების, პარტნიორების დაფინანსება გამოყოფილი ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ეს რაში აწყობს „ქართულ ოცნებას“. ივანიშვილს, კობახიძეს რათ უნდათ კრიტიკა, ძალაუფლების მუდმივად შენარჩუნება აქვთ განზრახული. ამიტომ საჭირო არის „ქართული ოცნების“ წელში გადატეხა.

– როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი მორიგი იმედგაცრუებით რომ არ დამთავრდეს, პირველ რიგში რა არის საჭირო?

– ოპოზიციის მიერ პარლამენტის დატოვება. არგუმენტად ვერ გამოდგება, ვიღაცები ხომ მაინც დარჩებიან! თითო-ოროლა ინჯია თუ შემორჩება, ეს არაფერს დაგვაკლებს. მათი ფსევდოოპოზიციონერობის შესახებ ამ ქვეყანაში ბავშვმაც კი იცის. ნამდვილი, ღირსეული, მებრძოლი ოპოზიცია ქუჩაში, ბარიკადებზე, თავის ამომრჩეველთან უნდა იდგეს. მას დღეს პარლამენტში არაფერი არ ესაქმება. უკვე ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. საქმე „აგენტებამდეა“ მისულ. ამ კანონს მიიღებენ და ყველას აგენტებად გამოგვაცხადებენ.

მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ხელისუფლება მარტოა თავის თავთან ოპოზიციის გარეშე. ეს ახალი რეალობა კი მოიტანს ვადამდელ არჩევნებს. ცხადია, ბრძოლა მერეც დაგვჭირდება საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებისთვის, მაგრამ ჯერ პირველი ეტაპის ბრძოლა უნდა მოვიგოთ, რომ ხელისუფლება წელში გადავტეხოთ.

„ჩვენ ომს ჩვენს ტერიტორიაზე ვერ დავიწყებდით“

გურამ ვახტანგაშვილი: „2008 წელს, ამერიკის გემი მაშინ შემოვიდა, როცა ომი უკვე დამთავრებული იყო. ამიტომ, ცხადია, რომ წავაგებდით“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

– პატონო გურამ, დეპუტატმა ფრიდონ ინჯიამ პარლამენტში აგვისტოს ომის გარემოებების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. მეორე მხრივ, გარკვეულმა ჯგუფმა გენპროკურატურაშიც შეიტანა განცხადება, გამოიძიონ, აგვისტოს ომი რატომ წავაგეთ, ტერიტორიები რატომ დავკარგეთ. რა მიმართულებით შეიძლება წავიდეს გამოძიება? რა სახე შეიძლება მიიღოს, თუკი საქმე სერიოზულად და ნორმალურად იქნება გამოძიებული?

– კომისია 2008 წელსაც იყო შექმნილი და დასკვნა დაიდო. შემდეგ ტალიავინის დასკვნა გამოქვეყნდა. ჰააგის სასამართლომაც მიიღო გადაწყვეტილება. რაღაც ახალ მომენტებს თუ აღმოაჩენენ და რაღაცები ამოტივტივდება, ვერ გეტყვით. შეიძლება რაღაცები ამოტივტივდეს.

– რა შეიძლება ამოტივტივდეს?

– არ ვიცი. მე რაც ვიცი (მე სულ ლიახვის ხეობაში ვიყავი), ჩვენ ომს ჩვენს ტერიტორიაზე ვერ დავიწყებდით.

– რა საქმეებიც ჰააგასა და სტრასბურში მოვიგეთ, უცხო ქვეყნის, რუსეთის საქართველოში შემოჭრას ეხება. რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ თუ იმ მხრივ წავა გამოძიება, ომი რატომ წავაგეთ, საქართველოს ხელისუფლებამ რა შეცდომები დაუშვა, რა შედეგი დაიდება?

– რუსეთი შემოიჭრა. რუსეთი რომ დიდია, მთელმა მსოფლიომ იცის. რატომ წავაგეთ? ძალა აღმართს ხნავს. 1/10-ზე და 1/100-ზე იყო, როკის გვირაბის გამოვლით იმდენი რუსი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა შემოვიდა, ამიტომ წავაგეთ. მით უმეტეს, მაშინ ჩვენ ისეთი დახმარება არ გვქონდა, როგორც დღეს უკრაინას აქვს.

რუსეთი უკრაინაშიც შეიჭრა, მაგრამ სხვადასხვა თანაფარდობაა. თუ რუსეთი 150 მილიონია, უკრაინა 44 მილიონია. პროცენტულად რომ ავიღოთ, უკრაინა მოსახლეობით რუსეთზე სამჯერ ნაკლებია, საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონია. წარმოიდგინეთ, რამდენჯერ ნაკლები ვართ და რამდენად ნაკლებია ჩვენი ჯარი და შესაძლებლობები.

ახლა უკრაინას მთელი მსოფლიო ეხმარება. მაშინ ჩვენ არავინ დაგვეხმარა, მხოლოდ განცხადებები გაკეთდა. 2008 წელს, ამერიკის გემი მაშინ შემოვიდა, როცა ომი უკვე დამთავრებული იყო. ამიტომ, ცხადია, რომ წავაგებდით.

კონფლიქტი 1989 წლის 23 ნოემბერს დაიწყო. გზა მაშინ დაგვიკეტეს. პიკეტები მაშინ გაკეთდა. შემდეგ დღე არ გავიდოდა, ვიღაც არ მოეკლათ, ვიღაც არ გაეტაცებინათ, 2008 წლამდე სულ დაპირისპირება იყო.

2008 წლის 3-5 აგვისტოს პატარა, დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების მიმართულებით რუსები მასობრივად ბომბავდნენ. ჩვენებმაც პასუხი გასცეს. ვიღაც-ვიღაცები აცხადებენ, მძინარე ცხინვალი დაიბომბაო. ქალაქში არავინ იყო.

– დიახ, ომამდე 2 კვირით აგრე ცხინვალიდან მოსახლეობა გაიყვანეს.

– 2 კვირის განმავლობაში გაჰყავდათ მოსახლეობა, მოხუცები, ბავშვები, ქალები, კაცები. ცხინვალში მხოლოდ 2 ათასამდე ბოევიკი დარჩა. ქართველებს მძინარე ქალაქი არ დაგვიბომბავს.

ჩვენს სამხედრო შტაბს მე იმაში ვადანაშაულებ, რომ ჯარი ცხინვალში არ უნდა შესულიყო. კონფლიქტი რომ დაიწყო, ცხინვალისთვის უნდა შემოევლოთ. პატარა ლიახვის ხეობიდანაც შეიძლებოდა შესვლა, რაჭიდანაც და როკის გვირაბის გადაკეტვა.

ამით ცხინვალის არც დაბომბვა იქნებოდა, არც არაფერი. თან რა დაიბომბა, ვინ დაიბომბა, ცხინვალში კაციშვილი არ იყო. ასე უფრო ნაკლები მსხვერპლი იქნებოდა. თუმცა, რუსეთი მაინც მოგვერეოდა, რადგან ჩვენთვის 1% დახმარება არავის გაუწევია, მით უფრო, მძიმე ტექნიკით, არტილერიით, ჭურვებით თუ ჯარისკაცების მომზადებით. აბსოლუტურად არავინ დაგვხმარებია.

– ამერიკელმა პოლიტოლოგმა ბზიგნევ ბზეჟინსკიმ ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ დაგვეხმარეთო, უპასუხა, თქვენ ერთი კვირაც ვერ გაუძელით და როგორ უნდა დაგხმარებოდითო.

– არასწორი პასუხი გასცა. სულ ორი დღე გრძელდებოდა, 7-ში ღამით დაიწყო და 8-ში საღამოს დამთავრდა. 9 აგვისტოს ხეობები დაცლილი იყო, 500 კაცი დაგვეღუპა. საქართველოსთვის 500 კაცი ძალიან ბევრია. ერთი კვირა რომ გაგვეძლო, მართლა კარგი იქნებოდა, მაგრამ რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპებოდა.

რუსეთი უკრაინაში 3 დღეში აპირებდა დამთავრებას. კიევს 72 საათში ავიღებთო, მაგრამ უკრაინას იმ დღიდან მთელი ევროპა და ამერიკა ყველანაირად ეხმარება. 1 კვირის გაძლება ჩვენი მოსახლეობისა და ჯარისკაცების დიდ დანაკარგს გამოიწვევდა.

შეცდომაზე ლაპარაკი შეიძლება. შეცდომა იყო ცხინვალში შესვლა. შეიძლებოდა ცხინვალისთვის შემოვლა, როკის გვირაბისა და გზების ჩაკეტვა. ერთი, რითაც შეიძლება გაიმართლონ თავი, ისაა, რომ მოსახლეობა არ იყო გამოყვანილი, ანუ ჩვენ ომი არ გვინდოდა და ჩვენი მხარე საომარ მოქმედებებში იძულებით ჩაერთო.

თუ ომს იწყებ, ისე როგორ იზამ, ბომბავ და მოსახლეობას იქ ტოვებ? ე.ი. ჩვენები ომს არ ელოდნენ, მაგრამ ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთზე ნდობა არ შეიძლებოდა. რუსეთთან გაქვს საქმე და მოსახლეობას კონფლიქტის რეგიონში ტოვებ?!

ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ რუსი ჯარს შემოიყვანდა. ამიტომ მოსახლეობა უნდა გამოეყვანა. ხელისუფლებას და სამხედრო ხელმძღვანელობას შეცდომად იმას ვუთვლი, 8 აგვისტოს ავტობუსები რომ არ შეაგზავნა და საომარი მოქმედებების ზონიდან მოსახლეობა არ გამოიყვანა, მით უმეტეს, დიდი ლიახვის ხეობიდან.

პატარა ლიახვის ხეობა გორის რაიონს ესაზღვრებოდა და პირდაპირ გადმოვიდნენ, ხელისუფლებას ეგონა, რუსები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გაჩერდებოდნენ. ჩვენ ყველას გვეგონა, ადმინისტრაციული საზღვრის აქეთ არ გადმოვიდოდნენ, მაგრამ გადმოვიდნენ. მათ გორის რაიონი, ხაშური და მიმდებარე რაიონების ყველა სოფელი დაიკავეს.

ფაქტობრივად, დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის მდგომარეობაში აღმოჩნდა პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობების მოსახლეობა, ასევე მიმდებარე სოფლები, სადაც 10 ათასამდე მოსახლე იყო. გამოძიება რომ დაიწყება, ბევრი რამ გამოჩნდება.

– ხელისუფლებას ასე რატომ ეგონა? ჩრდილო კავკასიაში რუსეთმა სამხედრო წვრთნები ჩაატარა და საქართველოს საზღვართან დააბანაკა, თუ გონებას ცოტა ჭკუას დაატან, მიხვდები, რადგან ჯარი საქართველოს საზღვრიდან არ გაჰყავს, ე.ი. რაღაცას ელოდება. ხომ მეთანხმებით?

– ცხადია, გეთანხმებით. რუსებმა წვრთნების შემდეგ საქართველოს საზღვართან ჯარი მთელი წლის განმავლობაში დატოვეს. იდგნენ და ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ. მომენტი ნახეს და შემოვიდნენ. რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზღვართან ჯარი რომ არ ჰყოლოდა დაბანაკებული, სანამ ვლადიკავკაზიდან, ბესლანიდან და სხვა ადგილიდან ჯარს 200 კილომეტრს გამოატარებდა, 3-4 დღე მაინც დასჭირდებოდა.

ცხინვალიდან როკის გვირაბამდე 60 კილომეტრია. რუსები დილით რომ შემოვიდნენ, ღამით უკვე ცხინვალში იყვნენ.

– ბოლო დროის განხილვების დროს ამერიკასაც გადასწვდნენ, ამერიკა არ ჩაერია და არ დაგვეხმარაო. ცნობილია, რომ ომამდე საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა. როგორც რაისი წერს,

გააფრთხილა სააკაშვილი, რუსეთი შემოჭრას აპირებს და პროვოკაციას არ წამოეგოო. ასე არ იყო?

– დიახ, ასე იყო.

– ცხინვალში შესვლა, სულ მცირე, პროვოკაციაზე წამოგება არ იყო?

– დიახ, პროვოკაციაზე წამოგება იყო. 1989 წლიდან ყოველთვის ისეთი მდგომარეობა იყო, როგორც აგვისტოს ომამდე. 2004 წელსაც ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო, პოლიცია რომ შევიდა. 18 სამხედრო პირი და 15 სამოქალაქო პირი დაგვეღუპა. მაშინ ოზურგეთელი ბიჭი ზაზა დამენია გადაეფარა და 20-30 კაცი გადაარჩინა. ასეთი ვითარება ყოველთვის იყო და ჩვენი მხარე ყოველთვის თავს იკავებდა, მოლაპარაკებას ცდილობდა.

2008 წელს ისეთი გაკეთდა და ისეთი ვითარება იყო, რომ ალბათ, სხვა გამოსავალი არ იყო. რაშიც მე ვადანაშაულებ... თუმცა, რა უფლება მაქვს, ვინმე დავადანაშაულო. ისე კი, ჩვენი ხეობის წინაშე ყველა ტყუის. რუსული და ოსური მხარე რომ ტყუის, ტყუის, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებაც ტყუის ორ ამბავში. ერთი, ხეობებიდან მოსახლეობა არ გამოიყვანეს.

საწყალმა ხალხმა ფეხით მთა გადმოიარა, მთელი უბედურებები შეხვდათ. კიდევ კარგი სამშვიდობოები იცვლებოდნენ. რუსების სამშვიდობოების ასეული ჩეჩნებისგან შეიცვალა. შემოვლით გზაზე, წვერიახოსთან იდგნენ. ინფორმაცია მაქვს, რომ ყველა ერგნეთელს, ვინც ფეხით მოდიოდა, ჩეჩნები ეხმარებოდნენ.

ჩეჩნებს ისეთი დანაშაულები აქვთ ჩვენ წინაშე აფხაზეთში ჩადენილი, მათ ვერ ვამართლებ, მაგრამ 2008 წლის ომის დროს, ჩეჩნების ბატალიონი კარგად მოიქცა, მოსახლეობა გამოატარა, საწვავს აძლევდა მათ, ვისაც მანქანა გაუჩერდა. იმ მომენტში წვერიახოს რუსების ბატალიონი რომ მდგარიყო, ჩათვალეთ, დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა მთლიანად გაწყდებოდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ყველამ უნდა დაარქვას ამ ხელისუფლებას თავისი ნამდვილი სახელი და მაშინ გვეშველება“

მარიამ მჭედლიშვილი

კანონპროექტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. კანონპროექტებს, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს საზოგადოება მკვეთრად დაუპირისპირდნენ, მხარი დაუჭირეს პარლამენტის საგარეო და თავდაცვის კომიტეტებმა. საკითხს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფართო კონტექსტში განიხილავს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი შოთა მალაშხია.

„მინსკი შეიძლება გახდეს კავკასიური უსაფრთხოების საკითხების განსახილველი ადგილი, თუ იქ პირველი პირი ტიხანოვსკაია იქნება“

შოთა მალაშხია: „კობახიძე ლაპარაკობს ზუსტად ისე, როგორც უნდა ილაპარაკოს ამ მენტალიტეტის ხალხმა“

– დავიწყოთ თქვენი ოპოზიციონერი კოლეგების რეაქციით. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტების გამოტანამ და განხილვამ გასაგები გამძვინვარება გამოიწვია საზოგადოებაში. ზოგი ოპოზიციონერი რადიკალური იყო, ზოგმა კი თქვა, რომ ეს კანონები რომც არ მიიღონ, დამტკიცდა, რომ ამ ხელისუფლების ხელში ქვეყნის წინსვლა შეუძლებელიაო. თქვენ ამას წლების წინ ამბობდით და ხელისუფლებას გაცილებით მძაფრად აკრიტიკებდით. ახლა რას იტყვით?

– ოპოზიციონერები, რომლებიც „წინსვლას“ ახსენებენ, მეტისმეტად რბილები არიან. ამ ხელისუფლებას უნდა დაერქვას თავისი ნამდვილი სახელი. ენის მოჩლექის დრო არ არის. ადრეც მითქვამს, რომ ესენი არიან ქართული გვარების მქონე, ქართულად მოლაპარაკე რუსები. ყველამ უნდა დაარქვას ამ ხელისუფლებას ნამდვილი სახელი და მაშინ გვეშველება. არაფორმალური მმართველი და „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული მისი ნების შემსრულებლები არიან საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ადამიანები, რომელთა მსგავსი რუსეთში ძალიან ბევრია. მათ საქართველო რუსეთისკენ იმიტომ მიჰყავთ, რომ ასე კარგად იქნებიან – გააგრძელებენ ფულის „მოტეხას“, დემოკრატიული ნორმების დარღვევას და ა. შ. ესენი ფულს ბიზნესის საშუალებით კი არ შოულობენ, არამედ, მოპარვით, ძარცვით, მაქინაციებით – საბჭოთა ტრადიციების შესაბამისად. ეს ხელისუფლება რუსულია და ამას ყველამ უნდა გაუსვას ხაზი – პოლიტიკოსებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, მედიამ, საზოგადოების სხვა წევრებმა. გასაკეთებელია არჩევანი.

– ანუ, უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა საბჭოური გადმონაშთებით სავსე სისტემა და ოკუპანტი რუსეთის პარტნიორობა?

– ასე ვიტყოდი: გასაკეთებელია არჩევანი – გვინდა თუ არა ნორმალური, ქართული სახელმწიფო, რომელიც დასავლეთიდან საუკეთესოს გადმოიღებს და ქართულს შეუსაბამებს? თუ გვინდა, რომ ქვეყანა იყოს რუსეთის უკანა კარი და სამუშაო ეზო? დასავლეთიდან ავიღებთ საუკეთესო ღირებულებებს, ქართულ ფილტრში გავატარებთ და შევქმნით ღირსეულ განვითარებულ სახელმწიფოს ჩვენი თვითმყოფადობით. ევროპას (საერთოდ, დასავლეთს) ჩვენი თვითმყოფადობა აინტერესებს და უნდა, მიგვიღოს თავის რიგებში ჩვენი ტრადიციებით, ჩვენი გამორჩეულობით. თანამედროვე, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფო უნდა იყოს ჩვენი მიზანი. ეს მიზანი ვერ ექნებათ ქართულად მოლაპარაკე „რუსებს“. პრიმაკოვმაც იცოდა ქართული. ორჯონიკიძე, სტალინი, ცხაკაია ქართულად მეტყველებდნენ. ახლა „ოცნების“ ლიდერები და „ალტ-ინფო“-ელებიც ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი ქართველებად ვერ ჩაითვლებიან. ამ საერთო დიდი მიზნისათვის ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ – ვისაც რა შეგვიძლია. მათ შორის, პოლიტიკოსებმა, ისტორიკოსებმა, მედიამ და ა. შ.

– ესე იგი, ოპტიმისტურად ხართ განწყობილი საქართველოს მომავლის მიმართ?

– რასაკვირველია. სხვანაირად ვერ იქნება. ახლა მძიმე პერიოდია, ეს კანონპროექტებიც საშინელია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს უარესი გადაუტანია, ამაზე მეტი სიმძიმე გამოუვლია. უამრავი გადოწვევის მიუხედავად, საქართველო გადარჩა. ახლაც გამოვალთ მდგომარეობიდან. მით უმეტეს, რომ ახლა უკეთესი სიტუაცია გვაქვს – გვყავს ძლიერი პარტნიორი დასავლეთის სახით. ახალ ჩვენი, ყველას ბედი უკრაინაში წყდება. წელან აღვნიშნე, რომ ენის მოჩლექით საუბარს ყველა უნდა შეეშვას. წინ გვაქვს ზელენსკის შესანიშნავი მაგალითი. უკრაინის პრეზიდენტი თავს არავის უქონავს, ყველას პირდაპირ ეუბნება სათქმელს, ყველას აცნობს უკრაინის საჭიროებებსა და მოთხოვნებს – ნატოს გენერალურ მდივანს, აშშ-ის პრეზიდენტს, გერმანიის კანცლერს და ყველა სხვას. ისინიც მას პატივისცემით ექცევიან.

– გავლენების შესახებ კანონპროექტებს დავუბრუნდეთ. „ქართული ოცნების“ ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მათ მოწინააღმდეგეებს არგუმენტები არა აქვთ და ამიტომ ვნახეთ ცარიელი ისტერიაო.

– აბა, კობახიძემ სხვა რა უნდა თქვას. ის ლაპარაკობს ისე, როგორც უნდა ილაპარაკოს ამ მენტალიტეტის ხალხმა. ის იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს ქართულად მოლაპარაკე „რუსი“. ვიტყვი იმ ძალიან გულუბრყვილო ადამიანების გასაგონად, რომლებსაც სჯერათ კობახიძის ამ განმარტებებისა. კობახიძეს თუ დავუჯერებთ, არგუმენტები არ ჰქონიათ საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებს, დასავლელ მოკავშირეებს და საქართველოს მრავალრიცხოვან საზოგადოებას. მარტო კობახიძეს აქვს არგუმენტები – ევროკავშირსა და სხვა დანარჩენს კი არა?!

– გაერომაც კი საგანგაშოდ ჩათვალა ეს პროექტები...

– დიახ და ეს არაფერზე მეტყველებს?! ამას ვამბობ იმ მიამიტი და საქმეში ჩაუხედავი მოქალაქეებისთვის, რომლებსაც კობახიძის კომენტარების სჯერა.

– მოვლენების განვითარების როგორ სცენარს ელით – ვენეციის კომისია ამ კანონპროექტებს დაიწუნებს, პარლამენტის უმრავლესობა კი მაინც მიიღებს?

– რა თქმა უნდა. აბა, რისთვის დაიწყეს განხილვა პარლამენტში? კანონებს მიიღებენ, მაგრამ ამისთვის შემდეგ პასუხს აგებენ. სხვა ბევრი რამისთვისაც მოეთხოვებათ პასუხი. მაგალითად, უკანონო ტენდერების და სხვა ბევრი მაქინაციით ფულის კეთებისათვის. ჩემი აზრი ასეთია – ამაში გარეულები არ უნდა დავაპატიმროთ. დამნაშავე თანამდებობის პირებმა საკუთარი ქონებით უნდა ზღონ. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მათი მახინჯი მენტალიტეტის ლპობა. უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. ჩვენ დევნილები გვყავს დასაბრუნებელი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. უნდა მოხდეს სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა. ეს კარგად იციან უკრაინაში მებრძოლმა ქართველებმა. უკრაინაში სხვაც ბევრი იბრძვის, მაგრამ პროცენტულადაც და რიცხობრივადაც ჩვენები ყველაზე მეტნი არიან.

– რადგან კონფლიქტური რეგიონები ახსენეთ, აფხაზეთის საოკუპაციო ხელისუფლების ლიდერის, ასლან ბჟანიას ერთ განცხადებაზე გთხოვთ კომენტარს. როგორც ცნობილია, მან ახლახან მოიარა მოსკოვი და მინსკი. ამ ვიზიტების შედეგების შეჯამებისას ბჟანიამ აღნიშნა, რომ მინსკი შეიძლება გახდეს ადგილი, სადაც შეგვეძლება დისკუსიების გამართვა (ჟენევის მოლაპარაკებების მაგივრად) სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების შესახებ.

– ჯერჯერობით ბელარუსში ლუკაშენკოა. მინსკი შეიძლება გახდეს კავკასიური უსაფრთხოების საკითხების განსახილველი ადგილი, თუ იქ პირველი პირი ტიხანოვსკაია იქნება. იმედი მაქვს, რომ ბელარუსის ხელისუფლებაში კუთვნილ ადგილს დაიკავებენ ტიხანოვსკაია და დემოკრატიული ძალები და მაშინ სავსებით შეიძლება გამოვიყენოთ მინსკის მოედანი და სხვა ფორმატები კავკასიის პრობლემების განსახილველად და გადასაწყვეტად. საქართველო ყოველთვის კარგად ექცეოდა კავკასიელ ხალხებს, საქართველოში მცხოვრებლებს ანიჭებდა დიდ უფლებებს. განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზებს. შესაბამისი ინიციატივები ჰქონდათ გამსახურდიასაც და სააკაშვილსაც. ბჟანიამ, ასევე მისთანებმა, ეს ვერ შეიგნეს და ვერ შეიფერეს.

კავკასიურ კონტექსტში საქართველო ყოველთვის ღერძული ტიპის სახელმწიფო იყო. არც ერთი კავკასიური პრობლემა არ წყდებოდა საქართველოს გარეშე. რუსეთის დასუსტება გარდაუვალია. ეს უკვე მიმდინარეობს. რუსეთმა ვერ ააშენა თანამედროვე სახელმწიფო, ვერ მიაღწია წარმატებებს აღმშენებლობაში. ამიტომ ომზეა გადასული. ასე მოექცა კრემლი საქართველოს. ასევე ექცევა უკრაინას. რუსეთი შეირყა. მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციის დაშლაც. როცა ეს მოხდება, საქართველო თავის დიდ ფუნქციას დაიბრუნებს.

მაშველი ძაღლი „ტინტო“ სამსახურებრივი ჟეტონით დაჯილდოვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მაშველი ძაღლი „ტინტო“ დაჯილდოვდა სპეციალური ჟეტონით – „სიცოცხლის გადარჩენისთვის“ .

სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ – მამუკა სეფიაშვილმა მაშველ ძაღლს ჟეტონი თურქეთში სამაშველო ოპერაციის დროს ნანგრევებში მოყოლილი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის გადასცა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს კინოლოგიურმა სამსახურმა და მაშველმა ძაღლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თურქეთში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო მისიის დროს.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„ჩვენ ომს ჩვენს ტერიტორიაზე ვერ დავიწყებდით“

– უკრაინაში ომს არაფრით არაპროვოცირებულ ომს უწოდებენ და ყველა უკრაინის დასახმარებლად დაირაზმა, ჩვენთან კი რუსეთის მხრიდან ომი ძალის გადამეტებად შეფასდა, ანუ რუსეთს შეეძლო შემოსულიყო, მაგრამ ძალის გამოყენება გადაამეტა.

– 8 აგვისტოს ჩვენი სატანკო ნაწილები რომ შევიდნენ, რუსების ავიაცია ჩაერთო და განადგურება დაიწყო, 9 აგვისტოს გამოსული ვიყავით. ამიტომ, თუ ცხინვალში უნდა შევსულიყავით, მანამდე უნდა დაგვხმარებოდნენ როგორც მძიმე ტექნიკით, ასევე საჰაერო თავდაცვის საშუალებებით.

ომი უკვე დამთავრებული იყო, თბილისში 5 ქვეყნის პრეზიდენტი ჩამოვიდა და მედვედევმა და სააკაშვილმა 6-პუნქტიან შეთანხმებას ხელი მოაწერეს. მერე რით დაგვეხმარებოდნენ, ტანკებს შემოიყვანდნენ? ხელშეკრულებას ხელს რაღას ვაწერდით, თუ მეორე დღეს ტანკებით უნდა შევსულიყავით? ამ საკითხში ცოტა გაურკვევლობაა.

უკრაინელები ბოლო ჯარისკაცამდე ქვეყნის დასაცავად დადგნენ. 24-25 თებერვალს განაცხადეს, უკან არ დავიხევთ, არ დავთმობთო. ჩვენთან შიშის ფაქტორმა იმძლავრა. იმდენი მძიმე ტექნიკა რომ დაინახა და თან საქართველოს სხვადასხვა აეროპორტებიც დაბომბეს, მოსახლეობა და ხელისუფლება შეშინდა.

რუსის ჯარი სენაკიდანაც შემოვიდა, ყველამ თავის თავში ჩაიხედოს, წითელ ხიდზე, სომხეთისა და თურქეთისკენ გასასვლელები სავსე იყო მანქანებით. ტრაბახს ნუ დავიწყებთ, ვისაც უნდა დავუმტკიცებ, რომ გარდა ცხინვალის რეგიონის, ხეობების მოსახლეობისა და ჯარისკაცებისა, დანარჩენი საქართველოს მოსახლეობიდან ბევრი ცდილობდა გაქცეულიყო. ამიტომ საქართველოსა და უკრაინას ნუ შევადარებთ.

– ხელისუფლებამ რატომ არ მოითხოვა რუსეთისთვის სანქციების დაწესება?

– ეგ ხელისუფლების საქმეა. არავის ვეთანხმები იმაში, რომ ომი საქართველომ დაიწყო. თავის ტერიტორიაზე ომის დაწყების დაბრალება გამორიცხულია, რა საერთაშორისო სტანდარტებით და იურიდიულადაც უნდა მიუდგე, მაგრამ ხეობიდან მოსახლეობა რომ არ გამოიყვანეს და მოუმზადებლად შემოვიდნენ, ისე, რომ გათვლილი არ ჰქონდათ, დახმარებასა და სანქციებზე რომ არ იმუშავეს, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

– როკის გვირაბიდან მომავალი ტანკების კოლონის განადგურება არ შეიძლებოდა?

– რით უნდა გაენადგურებინა?!

– თვითმფრინავები არ გვყავდა?

– რუსებთან შედარებით არ გვყავდა.

– შედარებით კი, მაგრამ ერთხელაც რომ არ უცდიათ ხელის შეშლა და ცხინვალამდე შეუფერხებლად მოვიდნენ?

– როგორ არ უცდიათ? ჩვენმა ჯარმა რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოაგდო.

– მე ცხინვალისკენ გარკვეული სიჩქარით მწყობრად მომავალი ჯავშანტექნიკის განადგურებაზე ვსაუბრობ.

– ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და საკმარისი ავიაცია არ გვქონდა, რომ რუსეთიდან შემოსული დიდი რაოდენობით ჯარისა და თვითმფრინავების შემოტევას გავმკლავებოდით, ამისთვის იყო საჭირო ცხინვალისთვის მხარი აგვევლო და ჯავის ხეობა ჩაგვეკეტა, რათა როკის გვირაბიდან ჯარი ვერ შემოსულიყო.

იმ გზის ჩაკეტვა ადვილი იყო, შემდეგ ხიდებს ავაფეთქებდით და ტანკები ვეღარ გადმოვიდოდნენ. საწყალი ჯარისკაცები და პოლიციელები ცხინვალში დაგვეხოცა. ვისაც გინდა, დავუმტკიცებ, რომ ცხინვალში შესვლა დიდი შეცდომა იყო. მით უმეტეს, ამბობენ, მძინარე ცხინვალი იყოო. არავითარი მძინარე ცხინვალი არ ყოფილა.

– გუგლში რა ვიდეო დევს სათაურით (ვიდეო არ გაიხსნა): გურამ ვახტანგაშვილი ძმები ახალაიების გმირობაზე საუბრობსო. ხომ ვერ გვეტყვით, რა გმირობა ჩაიდინეს ძმებმა ახალაიებმა აგვისტოს ომის დროს?

– არ მახსენდება რა გმირობის ჩადენაზეა საუბარი.

– თქვენ ადრე ინტერვიუში მითხარით, რომ ახალაია და რომელიღაც მაღალჩინოსნები დიდი ლიახვის ხეობიდან გამოიქცნენ.

– ძმები ახალაიები და თავთუხაშვილი სოფელ ერედვში ამოვიდნენ. რუსებმა დაბომბვა რომ დაიწყეს და რამდენიმე ჯარისკაციც დაიღუპა, ისინი ხეობიდან წამოვიდნენ.

– ანუ არავითარ გმირობაზე საუბარი არ არის?

– არა. ცხინვალი და ჯავა რომ დაგვეკავებინა, მაშინ გმირობა იქნებოდა. დაბომბვის გამო ხეობიდან წამოვიდნენ, გინდ გმირობა დაარქვან და გინდ – გამოქცევა.

– ამ საკითხის გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიაზე რომ მიგიწვიონ, რა კითხვებს დაუტოვებდით პასუხისმგებელ მხარეს და რა ინფორმაციას მიაწვდიდით?

– იმ ინფორმაციას მივაწვდი, რასაც თქვენ გაწვდით, მაგრამ თქვენთან მოკლედ ვყვები, კომისიასთან კი საათობით ვილაპარაკებ. დაწვრილებით მოვყვები, რა როგორ იყო 7-8-9-10-11-ში (ხეობიდან 11 აგვისტოს გამოვედი), ვინ საით გარბოდა, როგორ გარბოდა, ხეობებში მიტოვებული მოსახლეობა რა დღეში იყო, ყველაფერს მოვყვები.

გააჩნია, ვინ იქნება, საკითხს დავუსვამდი, თვითონ განიზრახეს, ჩაითრიეს თუ როგორც იყო, ომი ხომ მოხდა, უპირველესად, კონფლიქტის ზონიდან ქართული მოსახლეობა რატომ არ გამოიყვანეს? მეორე – ვინც ამის გაკეთება გადაწყვიტა, ცხინვალს რატომ არ შემოუარეს, როკის გვირაბი და მისასვლელები რატომ არ გადაკეტეს?!

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და 10 პირი დააკავეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული გ.ხ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა მის საცხოვრებელ სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

1979 წელს დაბადებული რ.ს. კი თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 16 ვაზნა ამოიღო.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით 1977 წელს დაბადებული თ.მ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდები და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 2 პირი: 1986 წელს დაბადებული ზ.ღ. და 1968 წელს დაბადებული ს. ბ. სხვადასხვა დროს დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ზ.ღ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნა.

რაც შეეხება ს.ბ.-ს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო კარაბინი, სანადირო თოფები, მჭიდები, ვაზნები და მასრები.

ასევე აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს 1991 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ლ.კ. პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე სხვადასხვა დროს ამხილეს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული გ.ო. და 1953 წელს დაბადებული ს.ჭ.

მათი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 2 ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდები და 12 ვაზნა.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ კი დაკავებულია 1992 წელს დაბადებული რ. ხ., რომლის საცხოვრებელი სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო უკანონო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.დ., სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 ვაზნა ამოიღეს.

სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია 1963 წელს დაბადებული ტ.ს. სამართალდამცველებმა ტ.ს.-ს საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე შენობა-ნაგებობებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს რევოლვერი და შაშხანა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე 1955 წელს დაბადებული მ.ზ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 7 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე, 2 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.

1971 წელს დაბადებული თ.ც.-ს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, ხოლო 1981 წელს დაბადებულ ი.წ.-ს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გასაღება ედება ბრალად.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ასევე, გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ელი, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

ავარიას ჩაქვში 17 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

დაბა ჩაქვში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 17 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა, ერთი პირი კი დაშავდა.

დაშავებული ბათუმში კლინიკა „მედცენტრშია“ გადაყვანილი. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა მძიმეა.

ავტოსაგზაო შემთხვევა დაბა ჩაქვში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, იგი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ჯებირს შეეჯახა

მღვდლის დაჭრაში ბრალდებული დააკავეს

სასულიერო პირის დაჭრაში ბრალდებული დაკავებულია – ოფიციალურ ინფორმაციას შსს ავრცელებს. უწყების ცნობით, დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ბ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 4 მარტს, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა 1959 წელს დაბადებულ ც.თ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებადაა ამოღებული, – აცხადებს შსს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქართველი, რომელსაც საბერძნეთის პოლიცია 10 წელი ეძებდა, იტალიაში დააკავეს

საბერძნეთის პოლიციის მიერ ათი წლის განმავლობაში ძებნილი ქართველი იტალიაში მაშინ დააკავეს, როდესაც ის ნეაპოლში ხვიჩა კვარაცხელიას მატჩის საყურებლად ჩავიდა.

ინფორმაციას იტალიური პრესა ავრცელებს. მათი ცნობით, 38 წლის ქართველი „ნაპოლი“ – „ლაციოს“ მატჩზე თბილისიდან ჩაფრინდა, სადაც ევროპული ორდერის საფუძველზე საჰაერო სასაზღვრო პოლიციამ დააკავა.

რაც შეეხება მის დანაშაულს, საბერძნეთში მას 2012 წელს 10-წლიანი პატიმრობა საბერძნეთის ორი მოქალაქის მკვლელობის მცდელობისთვის მიუსაჯეს.

ნეაპოლში ჩაფრენილი მამაკაცის იდენტიფიცირება კი, საჰაერო სასაზღვრო პოლიციის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში გახდა შესაძლებელი, რომელიც მიზნად ისახავდა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ვაკის პარკის ტრაგედიის ახალი დეტალები

მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალების საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე, პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ყოფილ უფროსს და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების და გამოყენების ფაქტზე, „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ სპეციალისტს ბრალდება წარუდგინა. ასევე აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდება წარედგინა სამ იურიდიულ პირს – „გრინსერვის +“-ს, „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“ და „მშენექსპერტს“.

– საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნების მიღებამ საქმეში უკვე არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ცალსახად დაადასტურა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე უკვე დაკავებული ცხრა პირის ბრალეულობაც. კერძოდ, ჩატარებული ექსპერტიზებით დადგინდა, რომ გაყალბებული პროექტი, რომელიც „გრინსერვის+“-ის დირექტორმა მერიის საქალაქო სამსახურში წარადგინა, იყო უხარისხო, ვინაიდან მასში არ იყო დაცული ელექტროდანადგართა მოწყობის უსაფრთხოების წესები. ტუმბოების მოწყობის ინსტრუქციაში არ იყო მითითებული, რომ ტუმბოები უნდა დამონტაჟებულიყო დამცავი გათიშვის მოწყობილობის გამოყენებით, ასევე პროექტში არ იყო ასახული ელექტროტუმბოს დახურვის მეთოდი ისე, რომ ელექტროტუმბო ყოფილიყო მიუწვდომელი. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი პროექტიც არ შეესაბამებოდა უსაფრთხოების ნორმებს, მასში ტუმბოები განთავსებული იყო შადრევნის აუზის გარეთ, ხოლო კორექტირებულ პროექტში ტუმბოები შეტანილია შადრევნის აუზში.

ექსპერტიზამ ასევე დააგინა, რომ თუ სამუშაოები შესრულდებოდა თავდაპირველი პროექტით და ტუმბოს ძრავის მკვებავი კაბელები არ განთავსდებოდა შადრევნის აუზში, უშუალოდ ძრავების მკვებავი კაბელიდან ელექტროდენის გაჟონვა ვერ მოხდებოდა.

ექსპერტიზებით ასევე დადასტურდა, რომ „გრინსერვის+“-მა ცენტრალურ შადრევანზე სამუშაოები უხარისხოდ შეასრულა, რაც არ შეესაბამებოდა ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს. კერძოდ, შადრევნის შიდა აუზში მოწყობილი იყო 220 ვოლტ ძაბვაზე მომუშავე მართვის აპარატურა, საკაბელო ხაზები არ იყო მოწყობილი შესაბამისი დაცვის მქონე მილებში. ამასთან, არ იყო დამონტაჟებული რელე, რომელიც დენის გაჟონვის შემთხვევაში კვების წყაროს ავტომატურ გათიშვას უზრუნველყოფდა, ასევე არ იყო დამიწებული ტუმბოს დამცავი ხუფი (ცხაური).

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით კიდევ ერთი დანაშაულებრივი ეპიზოდი დადგინდა. კერძოდ, 2021 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და შპს „გრინსერვისი +“-ს შორის თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარედგინა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, ფაქტიურად მოწყობილი ელქსელის საშემსრულებლო ნახაზი, დამიწების კონტურების გაზომვის და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სამუშაოების მიმდინარეობისას, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში „გრინსერვის+“-მა გაყალბებული პროექტის ცვლილებები წარადგინა, სადაც არ იყო დაცული ელექტროდანადგართა მოწყობის უსაფრთხოების წესები. აღნიშნულ ცვლილებებს თან არ ახლდა სავალდებულო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადასტურდებოდა მათი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან. მიუხედავად აღნიშნულისა, 2022 წლის 16 მარტს და 15 აგვისტოს, მერიის საქალაქო სამსახურის უფროსსა და შპს „გრინსერვის+“-ის დირექტორს შორის გაფორმდა შეთანხმებები და ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც სავალდებულო ექსპერტიზის დასკვნის გარეშე უკვე დამტკიცებული პროექტი შეიცვალა.

საბოლოოდ, შპს „გრინსერვის+“-მა ცენტრალურ შადრევანზე სამუშაოები უხარისხოდ შეასრულა, რაც არ შეესაბამებოდა ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „გრინსერვის+“-ს მერიის საქალაქო სამსახურისთვის არ ჰქონდა წარდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაცია, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გულგრილად მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შესრულებული სამუშაოები აღნიშნული დოკუმენტების გარეშე მიიღო.

2022 წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკის ტერიტორიაზე მისულ მოზარდებს, თამაშის დროს შადრევნის აუზში ბურთი გადაუვარდათ. ბურთის ამოსატანად წყალში ჩასულმა ანდრია ლორთქიფანიძემ და ლაზარე ლობჟანიძემ დაზიანებული კაბელიდან წყალზე გადასული ელექტროდენისგან ელექტროტრავმა მიიღეს, რის შედეგადაც შეუძლოდ გახდნენ და აუზში წაიქცნენ. მეგობრების დასახმარებლად აუზში მარიტა მეფარიშვილი ჩავიდა, რომელმაც ასევე ელექტროტრავმა მიიღო, რის შედეგადაც შეუძლოდ გახდა. საბოლოოდ ბავშვები აუზიდან იქვე მყოფმა ვაკის პარკის მებაღემ დევი მეზურნიშვილმა ამოიყვანა, რის შემდეგაც ისინი სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

ელექტროტრავმის შედეგად მიღებული დაზიანებებით, მარიტა მეფარიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ანდრია ლორთქიფანიძემ და ლაზარე ლობჟანიძემ კი, მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები.

რაც შეეხება კიდევ ერთ დანაშაულებრივ ეპიზოდს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა ასევე, რომ 2020 წლის 18 მაისს, ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და შპს „LMC“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების თაობაზე. პროექტის შედგენის შემდგომ, შპს „LMC“-მ სათანადო ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით, რაც ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენას მოიცავდა, შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“ მიმართა.

2020 წლის 15 სექტემბერს და 2021 წლის 2 ივნისს, შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“-ს ინჟინერ-კონსტრუქტორმა დაამზადა ყალბი ინსპექტირების ანგარიში, რომლის თანახმად პროექტი თითქოს შესრულებული იყო სამშენებლო და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მან, ინსპექტირების ჩამტარებელ ექსპერტებად ანგარიშში მიუთითა ისეთი რვა პირი, რომლებსაც შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინში“ არასდროს უმუშავიათ, შესაბამისად არც ინსპექტირების ჩატარებაში მიუღიათ მონაწილეობა. რეალურად ხსენებულ დოკუმენტებზე 8 ექსპერტის ნაცვლად, ხელი მოაწერა შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“-ს ინჟინერ-კონსტრუქტორმა და შპს „LMC“-ის წარმომადგენლებს გაყალბებული დასკვნები გადასცა, – ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალების საქმეზე, ბრალდებული 9 პირის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს.

პარტიზანები ბრიანსკის ოლქშიც გამოჩნდნენ

ომი სიურპრიზების გარეშე არ არსებობს. გამონაკლისი არც რუსეთ-უკრაინის ომია. ბრიანსკის ოლქში მომხდარი ექსცესი ამის ნათელი დადასტურებაა.

ყველაფერი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის მორიგ დაბომბვას ბრიანსკის ოლქში დივერსანტების გამოჩენა მოჰყვა. ამის შესახებ განაცხადა ბრიანკის გუბერნატორმა.

სიურპრიზები ამით არ დამთავრებულა. მალე სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეო, რომელზედაც სწორედ ბრიანსჩინაზე უკრაინიდან გადასული დივერსანტები იყვნენ აღბეჭდილნი.

ლიუბოჩანისაკენ უმალ გადაისროლეს არმიისა და ფსბ-ს დიდი ძალები. ატყდა სროლა. თანახმად რტრ-ის ცნობისა, დივერსანტებმა შეძლეს გაქცევა და უკრაინაში დაბრუნება.

– მოკლულია ორი რუსი მესაზღვრე! დაიჭრა ორი ბიჭუნა და ერთი 12 წლის გოგონა! – აცხადებდა რტრ-ი.

შემდეგ გაირკვა, რომ მესაზღვრეები მხოლოდ მსუბუქად დაიჭრნენ. რაც შეეხება ბავშვებს, ისინი გაუჩინარდნენ. რტრ-მა დაიწყო მტკიცება, რომ დაიღუპა გოგონა. მალე გაირკვა, რომ ეს ინფორმაცია მცდარია და გოგონა არ არსებობდა. შემდგომ რუსულმა ფსბ-მ გაავრცელა ვიდეო, რომელზეც აღბეჭდილი იყო ტყვიით დაჭრილი პატარა ბიჭუნა.

ლიუბოჩანის სახლების კედლებზე კი დარჩა წარწერები: ძირს პუტინი! გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს! რუსმა პროპაგანდისტებმაც ფირფიტა უკვე მერამდენედ გადააბრუნეს. ახლა ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაჭრილია რამდენიმე მესაზღვრე და ერთი 12 წლის ბიჭუნა; დაიღუპა 1 შემთხვევითი გამვლელი.

– დივერსანტებს ნატოს იარაღი ჰქონდათ! დადგა

დრო, როცა ნატოს ამისათვის პასუხი უნდა მოვთხოვოთ! – გაჰკიოდა ეთერში რუსი პროპაგანდისტი სკობეევა.

უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის, პოდოლიაკის აზრით, ბრიანსჩინაზე მომხდარი ინციდენტი ფსბ-ს პროვოკაციაა. ამით რუსეთი ცდილობს გამოიყვანოს უკრაინა ტერორისტულ სახელმწიფოდ და მოახდინოს მისი დისკრედიტაცია მსოფლიოს თვალში.

უკრაინელ ექსპერტ დროზდს განსხვავებული მოსაზრება გააჩნია. ის ამტკიცებს, რომ რუსეთში მართლაც გამოჩნდნენ პარტიზანები, რომლებმაც ბრიანსჩინაზე სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს. ბრიანსჩინაზე მომხდარი ინციდენტი ერთადერთი არ ყოფილა. რუსეთის ტერიტორიაზე გახშირდა თავდასხმები სამხედრო ობიექტებზე (ყაზარმები, კომისარიატები, სამხედრო აეროდრომები და ა.შ.).

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაური რამზან კადიროვი უკვე აცხადებს, რომ დროა რუსეთში გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა. უდავოა ერთი: ომმა უკვე ყველა რუსულ ოჯახს მიუკაკუნა.

ბახმუტში უკრაინული სპეცნაზი შევიდა

ბახმუტთან ბრძოლები არ წყდება. თანახმად უკრაინული მედიის ცნობისა, ბანდიტური ფორმირება ვაგნერის შეფის პრიგოჟინის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ბახმუტის ნაწილობრივ ალყაში მოქცევის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ბახმუტიდან მოტომსროლელი ნაწილები გამოიყვანეს. მათ ნაცვლად ქალაქში სპეცნაზი შევიდა. ესაა ელიტარული ნაწილი, რომლის ძირითადი ამოცანაც ქალაქის პირობებში ბრძოლაა.

– სპეცნაზმა ბახმუტიდან უკრაინული რეგულარული არმიის ორგანიზებული გამოსვლა უნდა უზრუნველყოს, – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

უკვე მზადაა პოზიციები, რომლებსაც დაიკავებს ბახმუტიდან გამოსული უკრაინული ჯარი. ბრძოლები ქალაქისათვის კი ჯერ კიდევ გაგრძელდება.

– ბახმუტის ასაღებად კიდევ 200.000 ჯარისკაცი მჭირდება, – აცხადებს პრიგოჟინი.

ბახმუტის გარდა ბრძოლებია დონბასის მთელს ტერიტორიაზე. უკრაინელებმა მოიგერიეს რუსების შეტევები ავდეევკასა და მარინკაზე. ავდეევკის კოტიოლში მოქცევა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს. რაც შეეხება მარინკას, ის კვლავაც უკრაინელთა ხელშია.

უგლედართან განცდილი მარცხის შემდეგ რუსმა ოკუპანტებმა შეტევების ინტენსიურობა შეაჩერეს. მსგავსი სურათია შახტარში და კრემენოე-სვატოვოს მიმართულებითაც. აქ მარცხით დასრულდა რუსების ყველა მცდელობა, განედევნათ კრემენოეს სიახლოვეს მყოფი უკრაინული ნაწილები.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ბრძოლებია. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსმა ოკუპანტებმა ხერსონთან დრონით ჩამოაგდეს ყუმბარა. ის პოლიციის მანქანას დაეცა. დაიღუპა 1 პოლიციელი, 3 დაშავდა.

რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს ხერსონი, ზაპოროჟიე, ნიკოპოლი. შედეგად დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. ამავე დროს რუსებს არ ჰყოფნით ძალები საიმისოდ, რომ უკრაინის სამხრეთში ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელონ.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ შეაფასა ზამთრის სამხედრო კომპანია. ჩაიშალა პუტინის გეგმა, რომ იანვარ-თებერვალში რუსები დაიკავებდნენ დონბასს. უკრაინა კი დასავლეთიდან იარაღის ახალ-ახალ პარტიებს იღებს.

რუსული არმიის რიგებში სერიოზული დანაკარგებია. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, სურათი შემდეგია: ტანკები – 3.409, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.683, არტილერია – 2.414 , ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 247, თვითმფრინავები – 302. განადგურებულია – 151.190 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის ცნობები. თანახმად ამერიკელი გენერლის ჰოჯესის ინფორმაციისა, უკვე განადგურებულია 200.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბაიდენმა აუცილებელი სამედიცინო კვლევა გაიარა

თეთრი სახლის პრესსამსახურის ცნობით, აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს კანზე კიბოს გამონაზარდი აღმოაჩნდა. პრეზიდენტს სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთდა. ახლა ბაიდენი თავს კარგად გრძნობს. ბაიდენმა აუცილებელი სამედიცინო კვლევა გაიარა. პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია.

აშშ-მ ჩინეთს მიმართა

თეთრი სახლის წარმომადგენელი კირბი ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს შეეხო. კირბიმ ხაზი გაუსვა, რომ პეკინში რუსეთისადმი იარაღის მიწოდების საკითხში საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჩინეთის ხელმძღვანელობას მოუწოდა, რომ დაგმონ რუსეთის აგრესია უკრაინაში და დაეხმარონ არა რუსეთს, არამედ უკრაინას.

აშშ-ის გენპროკურორი უკრაინაში ჩავიდა

აშშ-ის გენერალური პროკურორი გარლანდი უკრაინაში ჩავიდა. ლვოვში ის თავის უკრაინელ კოლეგას შეხვდა, შემდეგ მონაწილეობა მიიღო აქვე გამართულ კონფერენციაში. გარლანდი გამოიძიებს უკრაინის ტერიტორიაზე მომხდარ სამხედრო დანაშაულებს. საუბარია ბუჩის, იზიუმის და ა.შ. ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა განახორციელეს.

საზოგადოება

წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია: „არა რუსულ კანონს!“

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია უცხოელი აგენტების კანონპროექტთან დაკავშირებით ღია წერილს აქვეყნებს:

– ვეხმაურებით საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“. მიგვაჩნია, რომ ამ კანონპროექტების არსი ეწინააღმდეგება ჩვენი მოქალაქეების არაერთხელ დადასტურებულ ევროპულ მისწრაფებებს, მიზნად ისახავს სამოქალაქო აქტივიზმის დისკრედიტაციას და ზღუდავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ახლა, როცა ჯანსაღი ძალების გაერთიანება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამგვარი კანონპროექტების განხილვაც კი აზიანებს ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს და იწვევს დაძაბულობას ქვეყნის შიგნით. საქართველოს პარლამენტი დღეს აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა დარგის პროფესიონალებთან, რათა გაგრძელდეს ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი რეფორმები და დროულად მოვახერხოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ, რომ რეალურად დავაღწიოთ თავი აგრესორი რუსეთის გავლენის სფეროს.

მოვუწოდებთ ქართველ პარლამენტარებს, გაიხსენონ და გაიაზრონ წარსულის მწარე გაკვეთილები. ნუ დაუშვებთ შეცდომას, რომელიც ლაქად დააჩნდება თითოეული თქვენგანის ბიოგრაფიას და ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

ნოდარ ბახტაძე: „გრემის სამეფო ნაგებობა აღარ არსებობს“

საგანგაშო ინფორმაცია მეცნიერმა ნოდარ ბახტაძემ გაავრცელა და აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირები მის გაჩუმებას ყველა ხერხით ცდილობდნენ:

– გელათი თუ უპასუხისმგებლობით და უვიცობით დავასახიჩრეთ, გრემის სამეფო უბნის ეს ნაწილი გავყიდეთ და მოვთხარეთ. აბა, თუ მიხვდებით, ვინ აფარებს ხელს დამნაშავეებს? დიიიახ, ისინი, ვინც დეტალურ საექსპერტო ინფორმაციას უნდა მთხოვდნენ ამ ვანდალიზმის აღსაკვეთად. ამის ნაცვლად კი, ყველა ხერხით ცდილობდნენ (ფიზიკური ზეწოლითაც კი) და ალბათ კვლავაც ეცდებიან ჩემს გაჩუმებას, განეიტრალებას. აი, ამ წუთებშიც აწყობენ გეგმას და უთუოდ რაიმე საზიზღრობას მოიფიქრებენ. ბრავო! კულტურაზე და მეცნიერებაზე ზრუნვა ასე უნდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შედეგები

4 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ნიუკასლი	2:0
არსენალი-ბორნმუთი	3:2
ასტონ ვილა-კრ.პალასი	1:0
ბრაიტონი-ვესტ ჰემი	4:0
ვულვზი-ტოტენჰემი	1:0
ჩელსი-ლიდსი	1:0
საუთჰემპტონი-ლესტერი	1:0

საკუნინიო ცხრილი:

1.არსენალი	26	20	3	3	59-25	63
2.სიტი	26	18	4	4	66-25	58
3.მანჩესტერი	24	15	4	5	41-28	49
4.ტოტენჰემი	26	14	3	9	46-36	45
5.ნიუკასლი	24	10	11	3	35-17	41
6.ლივერპული	24	11	6	7	40-28	39
7.ფულემი	25	11	6	8	36-31	39
8.ბრაიტონი	23	11	5	7	43-29	38
9.ბრენტფორდი	23	8	11	4	37-30	35
10.ჩელსი	25	9	7	9	24-25	34
11.ასტონ ვილა	25	10	4	11	31-38	34
12.კრ.პალასი	25	6	9	10	21-32	27
13.ვულვზი	26	7	6	13	19-35	27
14.ნოტინგემი	24	6	7	11	18-42	25
15.ლესტერი	25	7	3	15	36-43	24
16.ვესტ ჰემი	25	6	5	14	23-33	23
17.ლიდსი	25	5	7	13	29-40	22
18.ევერტონი	25	5	6	14	17-36	21
19.საუთჰემპტონი	25	6	3	16	20-41	21
20.ბორნმუთი	25	5	6	14	24-51	21

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-შეფილდი	1:0
კარდიფი-ბრისტოლი	2:0
ბლექპული-ბარნლი	0:0
ლუთონი-სუონსი	1:0
მიდლსბრო-რედინგი	5:0
მილუოლი-ნორვიჩი	2:3
როტერჰემი-ქპრ	3:1
სანდერლენდი-სტოკი	1:5
უიგანი-ბირმინგემი	1:1
უოტფორდი-პრესტონი	0:0
ჰადერსფილდი-ქოვენთრი	0:4

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ვერდერი	2:1
გლადბახი-ფრაიბურგი	0:0
ბოხუმი-შალკე	0:2
მაინცი-ჰოფენჰაიმი	1:0
უნიონი-კიოლნი	0:0
შტუტგარტი-ბაიერნი	1:2

საკუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	23	14	7	2	66-22	49
2.დორტმუნდი	23	16	1	6	47-28	49
3.უნიონი	23	13	5	5	35-27	44
4.ლაიფციგი	23	12	6	5	46-29	42
5.ფრაიბურგი	23	12	6	5	35-32	42
6.აინტრახტი	22	11	5	6	43-31	38
7.მაინცი	23	10	5	8	38-34	35
8.ვოლფსბურგი	22	9	6	7	40-29	33
9.გლადბახი	23	8	6	9	38-39	30
10.ვერდერი	23	9	3	11	35-43	30
11.ლევერკუზენი	22	8	4	10	36-36	28
12.კიოლნი	23	6	9	8	32-36	27
13.აუგსბურგი	23	8	3	12	28-39	27
14.ჰერტა	22	5	5	12	27-40	20
15.შტუტგარტი	23	4	7	12	28-40	19
16.ჰოფენჰაიმი	23	5	4	14	29-42	19
17.შალკე	23	4	7	12	18-42	19
18.ბოხუმი	23	6	1	16	24-56	19

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-ნიურნბერგი	3:0
ზანდჰაუზენი-კილი	1:1
რეგენსბურგი-ფორტუნა	0:1
ჰაიდენჰაიმი-დარმშტადი	1:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-ხირონა	3:2
ალმერია-ვილიარეალი	0:2
მალიორკა-ელჩე	0:1
ატლეტიკო-სევილია	6:1

სპორტი

საკუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	23	19	2	2	45-8	59
2.რეალი	23	16	4	3	47-18	52
3.ატლეტიკო	24	13	6	5	38-19	45
4.სოსიედადი	24	13	5	6	32-23	44
5.ბეტისი	23	12	4	7	32-25	40
6.ვილიარეალი	24	11	4	9	28-23	37
7.რაიო	23	9	7	7	29-25	34
8.ოსასუნა	23	9	6	8	22-23	33
9.ბილბაო	23	9	5	9	33-26	32
10.მალიორკა	24	9	4	11	21-25	31
11.ხირონა	24	8	6	10	38-38	30
12.ესპანიოლი	23	6	9	8	29-34	27
13.სელტა	23	7	6	10	26-34	27
14.კადისი	24	6	8	10	18-35	26
15.ალმერია	24	7	4	13	28-42	25
16.სევილია	24	6	7	11	27-39	25
17.ხეტაფე	24	6	7	11	23-32	25
18.ვალიადოლიდი	23	7	3	13	16-33	24
19.ვალენსია	23	6	5	12	27-27	23
20.ელჩე	24	2	6	16	18-48	12

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

მამუკელაშვილის დებიუტი სან ანტონიოში

სანდრო მამუკელაშვილი უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა და ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის ხელში ითამაშებს.

მამუმ კონტრაქტი, და თანაც სტანდარტული, სან ანტონიოსთან გააფორმა, რომელსაც ლეგენდარული გრეგ პოპოვიჩი წვრთნის და ჩვენებურიც მოედანზე პირველ მატჩში გამოჩნდა. ტეხასურ დერბიში სან ანტონიომ ჰიუსტონ როკეტსს უმასპინძლა და 110:112 დამარცხდა.

ქართველმა ფორვარდმა 16 წუთში გუნდს 6 ქულა და 2 მოხსნა მოუტანა. მამუ თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, კალათში მხოლოდ ორჯერ ისროლა, ორივეჯერ სამქულიანი და ორივე შემთხვევაში ზუსტად. ქართველმა 3 პერსონალური ჯარიმაც მიიღო და ბურთი ერთხელ დაკარგა.

სან ანტონიო 16 მოგებითა და 48 მარცხით ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილში ბოლოს წინა ადგილს იკავებს და ფლეი ოფში გასვლის შანსი აღარ აქვს. ტეხასელები მომდევნო შეხვედრას, ისევ ჰიუსტონთან, დღეს გამთენიისას გამართავდნენ.

შედეგები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბურგოსი-გრანადა 1:3
ტენერიფე-ეიბარი 0:1
უესკა-ლევანტე 3:0
მირანდესი-ოვიედო 1:0

იტალია. სერია ა

მონცა-ემპოლი 2:1
ატალანტა-უდინეზე 0:0
ფიორენტინა-მილანი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	25	21	2	2	58-16	65
2.ლაციო	25	14	6	5	41-19	48
3.ინტერი	24	15	2	7	44-28	47
4.მილანი	25	14	5	6	42-32	47
5.რომა	24	13	5	6	31-21	44
6.ატალანტა	25	12	6	7	42-28	42
7.იუვენტუსი	24	15	5	4	39-19	35
8.ბოლონია	24	10	5	9	31-33	35
9.უდინეზე	25	7	11	7	33-30	32
10.მონცა	25	9	5	11	30-35	32
11.ფიორენტინა	25	8	7	10	29-31	31
12.ტორინო	24	8	7	9	26-29	31
13.ემპოლი	25	6	10	9	23-33	28
14.ლეჩე	24	6	9	9	24-27	27
15.სასუოლო	24	7	6	11	27-35	27
16.სალერნიტანა	24	6	6	12	28-44	24
17.სპეცია	24	4	7	13	21-41	20
18.ვერონა	24	4	5	15	20-37	17
19.კრემონეზე	24	1	9	14	19-43	12
20.სამპდორია	24	2	5	17	11-39	11

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

იტალია. სერია ბ

პიზა-პალერმო 1:1
რეჯინა-პარმა 0:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ლანსი-ლილი 1:1
პსჟ-ნანტი 4:2

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	26	20	3	3	66-25	63
2.მარსელი	25	16	4	5	48-25	52
3.ლანსი	26	14	9	3	40-21	51
4.მონაკო	25	15	5	5	53-34	50
5.რენი	25	15	4	7	45-28	46
6.ლილი	26	13	6	7	46-33	45
7.ნიცა	26	11	9	6	34-22	42
8.ლორიანი	25	11	6	8	38-36	39
9.ლიონი	25	11	5	9	39-28	38
10.რეიმსი	25	8	13	4	33-26	37
11.ტულუზა	25	9	5	11	41-45	32
12.კლერმონი	25	8	7	10	25-34	31
13.ნანტი	26	6	10	10	27-34	28
14.მონპელიე	25	8	3	14	36-46	27
15.სტრასბური	25	4	10	11	30-43	22
16.ოსერი	26	5	7	14	23-49	22
17.აიაჩო	25	6	3	16	20-46	21
18.ბრესტი	25	4	8	13	26-42	20
19.ტრუა	25	4	7	14	34-55	19
20.ანჟე	25	2	4	19	21-53	10

საფრანგეთი. ლიგა 2

ბორდო-სტ.ეტიენი 1:1
ამიენი-პო 1:0
ანსი-მეცი 0:3

მეცის პირველი და მესამე გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა

ლე ავრი-ლავალი 2:1
დიჟონი-გრენობლი 1:0
კევიი-ვალანსიენი 1:1
ნიორი-როდეზი 2:3
ბასტია-ნიმი 4:2
პარიზი-გენგამი 1:2

ბოხუმეგალია. ბუნდესლიგა

ბენფიკა-ფამილიკაუ 2:0
ეშტორილი-ვიზელა 0:3
პორტიმონენშე-სპორტინგი 0:1
შავიში-პორტუ 1:3

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ვოლენდამი-ემენი 3:1
ფეინოორდი-გრონინგენი 1:0
ტვენტე-ჰერენვენი 3:3

ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-შარლერუა 0:1
ლეუვენი-ვარეგემი 4:2
სერკლი-სერენი 3:1
სტანდარდი-ვესტერლო 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქარაგუმრუქი-სივასი 4:3
ტრაბზონი-უმრანიე 1:2
ქაისერი-ფენერბახჩე 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლუშტენაუ-შტურმი 0:2
რიდი-აუსტრია 1:3
ჰარტბერგი-ვოლფსბერგერი 2:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-ჰიბერნიანი 1:4
რეინჯერსი-კილმანროკი 3:1
როსი-მოზერველი 0:2
გართსი-სტ.ჯონსონი 3:0
დ.იუნაიტედი-აბერდინი 1:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ატრომიტოსი 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ვინთერთური-იანგ ბოიზი 1:1
ლუცერნი-ბაზელი 0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-სიგმა 1:1
ჰრადეც კრალოვე-იაბლონეცი 1:4
ბრნო-ზლინი 1:1
პარდუბიცე-ბანიკი 1:1
სპარტა-ტეპლიცე 4:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასი

ვიძევი-ვარტა 0:2
კორონა-პლოცკი 1:0
გურნიკი-ლეგია 0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლეკსანდრია-დნიპრო 2:2
ვერესი-ჩერნომორეცი 1:3
დინამო-ინგულეცი 0:2

მოამზადა მიხეილ ფორფოლიანმა

წელსაც დინამოები ლიდერობენ

დინამო (ბთ)-საბუთალო 3:1

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

0:1 შ.ნონიკაშვილი (32), 1:1 თ.კაპანაძე (48), 2:1 ბიძინაშვილი (56), 3:1 ფლამარიონი (60)

დინამო: ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, მ.კობახიძე, რეხვიაშვილი, გიორბელიძე, ვიდაკოვიჩი (ლიტვინენკო 46), ალთუნაშვილი (ტეიდი 81), ღუდუშაური (ჩაბრაძე 67), ზარია (ბიძინაშვილი 46), ფლამარიონი, თ. კაპანაძე (იაკობსენი 67)

საბურთალო: მეგრელიშვილი, მამასახლისი, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა (მამაცაშვილი 72), შ.ნონიკაშვილი, ქარდავა (ო.მამაგეიშვილი 72), ლ.ნონიკაშვილი (ტაბატაძე 67), სილაგაძე, გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 61), სიხარულიძე (სილა 61)

ბათუმელებმა სტუმრებთან პირველი ტაიმი წააგეს, მაგრამ მერე 11-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი გაიტანეს.

საბურთალო საყრდენმა ნახევარმცველმა შოთა ნონიკაშვილმა დააწინაურა – საჯარიმოში კარგად გაერკვა სიტუაციაში და ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბათუმელთა თავდამსხმელმა თორნიკე კაპანაძემ დასწრებაზე კარგად ითამაშა და გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

მალე ირაკლი ბიძინაშვილმა ინდივიდუალური გარღვევა დაასრულა გოლით. სხვათა შორის, ბიძინაშვილმა პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა... არადა, შესვენების შემდეგ შევიდა მინდორზე.

მესამე ბურთი კი თავურით გაიტანა ჯოვინო ფლამარიონმა.

საბოლოოდ, 3:1 და ბათუმელებს 2 ტურში 6 ქულა აქვთ, საბურთალოს კი, ერთი ქულა დარჩა.

დინამო (თბ)-სამტრედია 4:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 სიგუა (10), 2:0 მოისწრაფიშვილი (143), 3:0 იმრანი (81), 4:0 მარუშიჩი (90)

დინამო: კერესელიძე, მალი (მაისურაძე 80), ხვადაგიანი, ა.კალანდაძე, კობოური, სიგუა (იმრანი 56), მექვაბიშვილი, თ.კირკიტაძე (მორჩილაძე 56), მოისწრაფიშვილი (მარუშიჩი 56), კამარა (ხარაიშვილი 67), სხირტლაძე

სამტრედია: ბურიჩენკოვი, კორიფაძე, კილასონია, მირცხულავა, უბილავა, ოლატუნჯი, ხაიბულაევი (ზარიძე 69), დ.კირკიტაძე (ჩამბა 56), რობაქიძე (ჩიტაიშვილი 69), ნაჭყებია, ინჯგია (ლაღაძე 82)

თბილისის დინამომ მარტივად მოიგო. დედაქალაქელებმა 15 წუთში ორი გოლი გაიტანეს და მას შემდეგ, საბოლოო შედეგი, საფინალო სასტვენამდე, ეჭვქვეშ ოდნავადაც არ დაუყენებია.

მეტიც, დინამოს რესურსი მეტი გამოჩნდა: ამის დასტურია, რომ მეორე ტაიმში ორი გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს და მეტის გატანაც შეეძლოთ.

ერთი სიტყვით, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა დიდი ანგარიშით მოიგო და უკეთესი ბურთების სხვაობის გამო სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

ტოხპედო-დილა 0:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

ტორპედო: კვასხვაძე, მჭედლიშვილი, მონტეირო, სანდოხაძე, ნადარაია, გიგაური, შულაია (ბუღრიძე 80), ნეტო (არაბიძე 70), მანჯგალაძე (ფელაი 80), ქიმაძე (შერგელაშვილი 59), თ.ახვლედიანი (კაჭარავა 59)

დილა: კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ეტუ, სილვა, სანტოსი, ჟან ვიქტორი, ფარულავა (მახარობლიძე 88), გ.გაფრინდაშვილი, გეილი, ცეცხლაძე (ასამოა 65)

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი არცთუ კარგ სტადიონზე გაიმართა. სამტრედიის ეროსი მანჯგალაძე მძიმე გრუნტით დახვდა ფეხბურთელებს. რამაც, საბოლოოდ, ის შედეგი მოიტანა, რომ ძალიან უინტერესო დაპირისპირება ვნახეთ.

ანგარიშიც ზუსტად შეეფერება იმ ვითარებას, რაც მოედანზე ხდებოდა....

ტორპედოს უკვე 2 ტურია გოლიც კი არ გაუტანია, არადა, სეზონის წინ ამბიციურ გუნდად მიიჩნეოდა.

დილაზე ცალკე სათქმელია: ჯერ ერთი, გუნდი ევროტურნირებზე აპირებს მონაწილეობას და ასეთი თამაშით ისევ სირცხვილს უნდა ველოდოთ; მეორე – სათადარიგოთა სკამზე სულ 3 ფეხბურთელი უზით.

შუქურა-სამგურალი 2:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

ლ.ქურდაძე (24), 2:0 ც.ფაცაცია (51), 2:1 ჩიხრაძე (90)

შუქურა: კულუა, ჩაჩუა, ჩაკვეტაძე, ლ.ქურდაძე, კუროკი, ანდრონიკაშვილი, ანანიძე (კვარაცხელია 66), ც.ფაცაცია (ნ.ბაშელეიშვილი 62), ჯანელიძე (სარდალიშვილი 62), მზვაკალი (დუმბია 72), ლექვთაძე

სამგურალი: შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, კალანდარიშვილი (ბული 62), ჯეფინიო, ლომინაძე (არტური 46), ნ. ხორხელი (ჩიხრაძე 62), ჩიხლაძე (ბურჯანაძე 33), ლ.ხორხელი (ს.კუხიანიძე 46), ნიქაბაძე

გაძევება: პატარკაციშვილი (9), ლექვთაძე (37)

ვერც ზესტაფონის სტადიონი დახვდა გუნდებს კარგ მდგომარეობაში. ერთ დროს მობიბინე დავით აბაშიძე აშკარად ცუდ მდგომარეობაშია.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ ლიგაში დაბრუნებულმა შუქურამ პირველი გამარჯვება მიპოვა. ქობულეთელები თავიდანვე ფლობდნენ უპირატესობას და მეტოქეც გვარიანადაც ანერვიულეს.

ჯერ იყო და, სამგურალი დასაწყისშივე კაცნაკლული დარჩა – მსაჯმა პატარკაციშვილი ბოლო იმედის ჯარიმის გამო გააძევა. რიცხობრივ უპირატესობაში კი, შუქურა დაწინაურდა – კუთხურის შემდეგ ლევან ქურდაძე არეულობაში სხვებზე ადრე გაერკვა და ბურთი მაღალ კუთხეში გადაგზავნა.

მალევე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო ირაკლი ლექვთაძემ და მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა აღსდგა.

ამ ვითარებაში ისევ ქობულეთელებმა ივარგეს და მეორე ტაიმის დასაწყისში ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ – გოლი ფაცაციამ შეაგდო.

თამაშის ბოლოს კი, როცა წყალტუბოელებმა სხვაობა შეამცირეს, უბრალოდ დრო აღარ იყო საიმისოდ, რომ ქულა მაინც გადაერჩინათ. თუმცა ამაზე გიორგი ჭელიძის გუნდს ადრე უნდა ეზრუნა.

თელავი-გაგრა 0:0

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

მე-4 წუთზე ხოსიტაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

თელავი: თანდილაშვილი, ჟვიძე (კრისტიანი 57), გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, პარკინაშვილი, ქოჩლაძე (ილურიძე 79), ნ.ნოზაძე (ჯიქია 56), ვიტინო, ყიფიანი, კოხრეიძე (ყაველაშვილი 56), აშორტია (ფირანაშვილი 68)

გაგრა: ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, გ.ლაცაბიძე, სულთანიშვილი, შეწირული (კაკაშვილი 75), ლომთაძე (ჩაგანავა 75), შონია (ოდიშელიძე 69), მარკონდელე, მუსელიანი

უგოლო თამაშში, შესაძლოა, ყველაფერი მატჩის დასაწყისშივე არეულიყო. ჯერ კიდევ მე-4 წუთზე ხოსიტაშვილმა 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. გაგრას კაპიტანს მეკარემ აჯობა.

არადა, ალბათ უკეთეს თამაშს ვიხილავდით. მთლიანობაში კი, უინტერესო გამოდგა და უგოლო ფრეც ლოგიკურია.

თელავი ტორპედოსთან ერთად ის გუნდია, რომელსაც ორ ტურში ერთხელაც არ გაუტანია.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	2	2	0	0	6-1	6
2.დინამო (ბთ)	2	2	0	0	5-2	6
3.სამგურალი	2	1	0	1	5-5	3
4.შუქურა	2	1	0	1	3-3	3
5.სამტრედია	2	1	0	1	1-4	3
6.ტორპედო	2	0	2	0	0-0	2
7.გაგრა	2	0	1	1	3-4	1
8.დილა	2	0	1	1	1-2	1
9.თელავი	2	0	1	1	0-1	1
10.საბურთალო	2	0	1	1	1-3	1

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. ატომის შემადგენელი, დადებითად დამუხტული ელემენტალური ნაწილაკი; 3. ქართველი მწერალი. 4. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 10. ფანქრების წარმოებაში გამოყენებული ნახშირბადის შემცველი მინერალი; 14. იტალიის არმიის, ელიტური ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 16. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 19. არგენტინელი მწერალი; 20. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 21. თვითმფრინავების სადგომი.

თარაზულად: 6. ბოტანიკული ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. რაიმეთი გატაცება; 11. საჭმლის სუნელ-სანელებელთა ერთობლიობა; 12. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ამზადებენ წითელი ფერის საღებავს; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 23. ვენეციური ნავი; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული ტვირთმზიდაობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პატენტი; 2. ბრიხი; 3. ბოტიჩელი; 4. ბულბული; 5. ქონდაქარი; 9. პუჩინი; 12. ჰოფმანი; 14. ნუნცია; 15. გუჩი; 17. დუვრი; 18. ოლქი.

თარაზულად: 6. ნადური; 7. კონსულელო; 8. ფელახი; 10. დუნია; 11. ვიოლონჩელო; 13. ანტიგონე; 16. ფოლადი; 19. ლოკატორი; 20. დანტისტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხარფუხი; 2. აციდოზი; 3. თითლიბაზი; 4. ცაცხვი; 5. მიზერი; 9. ვოლვო; 10. აფალინა; 14. ფილანტროპი; 15. ნოვარტისი; 16. ფრანკი; 19. წუმწუმა; 20. ჩოხელი; 21. ჰამერი.

თარაზულად: 6. ჰალუცინაცია; 7. რეგალია; 8. ეფენდი; 11. ბოკვერი; 12. ბზიფი; 13. ვარშავა; 17. პოლიფონია; 18. თურაშაული; 22. ბორჯომი; 23. კრამიტი; 24. ამირბარი; 25. კირჩხიბი.

სამგლოვიარო განცხადებები



მიშიკო შენგელიას
გახსენება

4 მარტს 10 წელი შესრულდა, რაც დაგვტოვე, ჩემო საყვარელო ძმაო, და მარადისობაში გადახვედი. გვენატრები ყველას – შვილებს, შვილიშვილებს, შენს ძმას, ძმისშვილებს, რძლებს, ნათესავებს.

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო საფიცარო ძმაო. ყველა ხშირად გიგონებთ. გვენატრები.

ვაგლახ, რა დრო გავიდა უშენოდ.

შენი და ლენიკო

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

6 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6064

ევრო — 2.7680

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1180

100 რუსული რუბლი — 3.4492

ამინდის პროგნოზი 6 მარტისათვის



კილიან მბაპე პსჟ-ს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

კილიან მბაპემ პსჟ-ში თავისი 201-ე გოლი გაიტანა და ის ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამ მაჩვენებლით მან გაუსწრო ნეიმარს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს და ბევრ სხვა ცნობილ ფეხბურთელს. მატჩის შემდეგ მბაპემ თქვა, რომ ის ამაყობს თავისი მიღწევით და მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. პსჟ-მ ნანტი 4:2 დაამარცხა და ლიდერობა გაიმყარა.

ნეიმარი ბაიერნთან არ ითამაშებს

პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი ბაიერნის წინააღმდეგ არ ითამაშებს და ამის შესახებ ინფორმაცია პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ გალტიემ დაადასტურა. ნეიმარმა ტრავმა რამდენიმე კვირის წინ მიიღო ლილთან შეხვედრაში და მან ჯერჯერობით გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. პსჟ-მ პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე წააგო და მათ მიუნხენში მხოლოდ მოგება სჭირდებათ.

ანჩელოტი: „რეალი თავის ძალას კიდევ აჩვენებს“

მადრიდის რეალმა რამდენიმე შეხვედრა არცთუ კარგად ჩაატარა და უკვე ამ გუნდის კრიზისზეც დაიწყო საუბარი, თუმცა ანჩელოტის თქმით, ეს ყველაფერი ნაადრევია და გუნდს კრიზისი არა აქვს: „არ მინდა, რომ ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ რეალი ისევ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში და გულშემატკივარი ამაში მალე დარწმუნდება. რეალის ყველა ფეხბურთელი მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ჯვრის წერის ცერემონია. ღვთის მსახური აცხადებს:

– ჯვარს იწერენ მონა ღვთისა მიხო და ღვთის რისხვა მარო.

●●●

ორი პროგრამისტი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ეს მაგარი ველოსიპედი საიდან?

– გუშინ გვიანობამდე ვიჯექი მდინარის ნაპირთან. უცბად ველოსიპედით მაგარი გოგო მოვიდა, გაშიშვლდა, ჩემ წინ დაწვა და მითხრა: „შენი იქნება, რასაც მოისურვებ“. ჰოდა, მეც ველოსიპედი ავიღე.

– სწორად მოქცეულხარ, აბა მისი ტანსაცმელი არ მოგერგებოდა და...

●●●

ჩანაწერი საავადმყოფო ბარათში:

„ფსიქიკურად დაავადებული არ არის, უბრალოდ, უტვინოა“.

●●●

ორი ახლობელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას ეტყოდი, თუ შეხვდებოდი ისეთ ქალს, რომელიც ყველაფერს გაპატიებდა, იქნებოდა შენ მიმართ კეთილი, ალერსიანი, ნაზი და სადილსაც შესანიშნავად მოამზადებდა?

– გამარჯობა, დედა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლენუკა ყიფშიძე: „ჩემზე არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ“

მოდელ ლენუკა ყიფშიძეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ავარიაში მოყვა და ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა:

– ჩემზე არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ. ავარიაში ადრე მოვყევი, თითქმის 2 წელი გავიდა, ამიტომ ამ ცრუ ინფორმაციას ნუ უსმენთ. ეტყობა, ოპერაცია ახლა რომ გავიკეთე, ამას მიაბეს ავარია და მინდა გავიგო, ვინ გამოაქვეყნა ეს სისულელე. ესე როგორ შეიძლება, ჩემები გიჟს გვანან. მალადეც შენ, ვინც დაწერე ეს ჩემზე. ღმერთის წყალობით კარგად ვარ, არ ინერვიულოთ. არ წამიღეს ტვინი მართლაც და მართლაც!

გიორგი უშიკიშვილი ქართული კულტურის გადარჩენაზე ალაპარაკდა

მომღერალი გიორგი უშიკიშვილი აცხადებს, რომ თუკი ქართულ კულტურაში უნიკალური საგანძური გადარჩა, ეს მხოლოდ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მხარდამჭერების დახმარებითაა:

– ქართული ხალხური სიმღერა, ცეკვა, გამოყენებითი ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება და ქართული გალობა. ამ მიმართულებით თუ რამე მნიშვნელოვანი გაკეთებულა და კეთდება, უდიდესი ნაწილი, ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრების დახმარებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, უნიკალური ნიმუშების გადარჩენა, რაც ჩვენს იდენტობას გვინარჩუნებს, ამ ხალხის დამსახურებით გადარჩა! ის, რომ ისინი რამეს გვართმევენ, რუსული პროპაგანდაა!

ლიბანში ქართველმა მეცნიერებმა ქართულ ხელნაწერებს მიაკვლიეს

ლიბანში ქართველი მეცნიერების საქმიანის ვიზიტი უნიკალური აღმოჩენით დაგვირგვინდა. ინფორმაცია ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ქართველი მეცნიერები ლიბანში უნიკალური აღმოჩენის მოწმენი გავხდით. სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს ბეირუთთან ახლოს მდებარე XVIII საუკუნის მონასტერში, 4 ქართულ ხელნაწერს მიაკვლია.

ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა სასულიერო პირმა და მეცნიერმა შალვა ვარდიძემ შეისწავლა, დანარჩენი სამის არსებობა კი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის საერთოდ უცნობი იყო.

მთელი დღის განმავლობაში ნანა მირაშვილს, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორს, აღმოსავლეთმცოდნე თამარ დემეტრაშვილს და მე საშუალება მოგვეცა ეს ხელნაწერები შეგვესწავლა. საქართველოს კულტურის სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმების თანახმად კი, ტაძრის ბიბლიოთეკა ყველა ხელნაწერის ციფრულ ასლს, ანუ 2 ათასზე მეტ ფოტოს ქართულ მხარეს გადასცემს!

ეს დიდი გამარჯვებაა, რადგან ქართველ მეცნიერებს ჩვენი ეროვნული საგანძურის სრულფასოვნად შესწავლის საშუალება მიეცემათ. ვულოცავ საქართველოს ამ გასახარ და მნიშვნელოვან ამბავს.

ბერლინში ქართველი ხელოვანები გრანდიოზულ კონცერტს გამართავენ

6 მარტს ბერლინში ქართველი მომღერლების, მუსიკოსების, მოცეკვავეების მონაწილეობით გრანდიოზული გალა კონცერტი გაიმართება.

მიშო ჯავახიშვილი:

– 6 მარტს ბერლინში ტურისტული გამოფენა გაიხსნება, სადაც საქართველო წელს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება. გამოფენა გრანდიოზული გალა კონცერტით გაიხსნება. ქართველი ხელოვანები 3000-მდე მაყურებელს საქართველოს კულტურას გააცნობენ.

უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში დაგეგმილ გალა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი „რუსთავი“, „სუხიშვილები“, ნიკოლოზ რაჭველი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დუდანა მაზმანიშვილი, ლიზა ბათიაშვილი, ნინო მაჩაიძე, დავით ევგენიძე და ბენდი, ნიკა მაჩაიძე, ბასა ფოცხიშვილი და მისი გუნდი.

დოდონა ნამორაძე გულშემატკივრებს აფრთხილებს



ბერძნული „ვოისის“ ქართველი კონკურსანტი დოდონა ნამორაძე გულშემატკივრებს აფრთხილებს, რომ მუსიკალური შოუს ნახევარფინალი გადადებულია:

– საბერძნეთში მატარებლების შეჯახებისა და ადამიანების გარდაცვალების გამო, ქვეყანაში გლოვის დღეებია გამოცხადებული, ამიტომ „ვოისის“ ნახევარფინალი ერთი კვირით გადაიდო. კონკურსის ნახევარფინალი პარასკევს გაიმართება, ფინალი კი შაბათს. 10 და 11 მარტი საკმაოდ დატვირთული დღეები იქნება ჩემთვის. თუ ფინალში გადავედი, შაბათი იქნება ყველაზე რთული, რადგან ფინალში 3 სხვადასხვა სიმღერის შესრულება მომიწევს და ჩემს გულშემატკივრებსაც 3-ჯერ მოუწევთ ხმის მიცემა. თითოეული ადამიანის მხარდაჭერა საოცრად მაძლიერებს და იმედი მაქვს, რომ ერთად ყველაფერს შევძლებთ.

ასტროპროგნოზი

6 მარტისათვის

ვერძი – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

რუსუდან ლორთქიფანიძეს მუსიკის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

მუსიკათმცოდნე რუსუდან ლორთქიფანიძეს მუსიკის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

ინფორმაცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაავრცელა:

– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ჯგუფის ხელმძღვანელს, მუსიკათმცოდნე რუსუდან ლორთქიფანიძეს მუსიკის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი საქართველოს უნივერსიტეტის, ფლორიდის მუსიკალური კონსერვატორიის, ლონგ აილენდის მუსიკალური კონსერვატორიის, ჰაიდნის კონსერვატორიისა და ტროსინგენის მუსიკის უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაუჭირა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. იტალიური რესტორანი; 2. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 3. მეორე ხმა ქართულ ხალხურ სიმღერაში; 4. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 5. შუშხუნა ღვინო; 9. ჩვილი ბავშვის საწოლი; 12. იტალიელი კომიკოსი; 14. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 15. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 17. მდინარე დელიში. 18. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 6. ტაძარი თბილისში; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. პოემა „ბახტრიონის“ პერსონაჟი; 11. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; 13. სერბეთის პარლამენტი; 16. პატარა, ერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 19. აღმოსავლური, მოხრილი პირის მქონე ხანჯალი; 20. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა